# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 197 (6055)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


ეთერ თათარაიძე:

## ერთი გაგანგაშებული ქალი გინახავთ ქართლში? ამიტომ ჩვენ მართლა არასოდეს არ გადავშენდებით

6



დავა ევროპაში



## ჰააგაში ქართველების ბედი ერთმა მოსამართლემ გადაწყვიტა, თუმცა... ჯერ კიდევ დრო აქვს და აზრი რომ შეიცვალოს?

თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ქართველებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ეს ნიშნავს, რომ დადგინდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან დარღვევები და ის ვალდებული იქნება, დაზარალებულებს გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებისთვის.

5

## „სტანდარტული“ ყაჩაღობა

მომხმარებლის ხარჯის შესამცირებლად ჩვენში არაფერი რომ არ კეთდება, დიდი ხანია ყველამ კარგად ვიცით. პირიქით, ბანკები, ფირმები, მეწარმეები, იმპორტიორები და ა.შ. მხოლოდ იმას ცდილობენ, მომხმარებელი (მყიდველი) როგორმე მეტად გაატყაონ და საკუთარი ჯიბე მეტად გაისქელონ.

11



პაველ პოდვიგი:

## მრავალი მიზეზის გამო რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ნატოს გაფართოების ოპოზიცია ძალიან ხელსაყრელია

2





7

## „კრწანისი პალასი“ – ნეტავი ჩემი იყოს!

## ახალგორელებს ოსურ ჯარში იწვევენ

2

## საქართველო: რა იქნება შემდეგ?

8

The Washington Post

## თავისი მიწის გულდამწვარი ჭირისუფალი



9

ვახტანგ ხარჩილავას ორტომეული ნაღდი ლიტერატურაა, გულის ძურაში გამოტარებული ნაწერია თავისი მიწის ჭირისუფალი კაცისა. თუ ერთი გამოთქმის პერიფრაზს გავაკეთებთ, დღეს წიგნის ბაზარზე ბევრი წიგნი „ბზუის“, მაგრამ ვახტანგის ნაკალმართან უმეტესობა ტყუის.

## ინფორმაცია



### ნორმალურ ქვეყნებში ერთი პრეზიდენტი და ბევრი ექს-პრეზიდენტი უნდა იყოს

„ვარდების რევოლუცია" ახალი რევოლუციის საფუძველი სულაც არ იყო, განაცხადა საქართველოში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დენიელ ფრიდმა.

ფრიდმა იმედი გამოთქვა, რომ დემოკრატიულობა ხელისუფლების კონსტრუქციული გზით შეცვლას ნიშნავს და იმედი გვაქვს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით განვითარდება.

ფრიდმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ოპოზიციასთან შეხვედრა ნორმალური საქმეა. — ავტორიტარულ სახელმწიფოში ალბათ დისიდენტებსაც შევხვდებოდი, — დასძინა მან.

აშშ-ის სახელმწოფო მდივნის მოადგილის განცხადებით ნორმალურ ქვეყნებში ერთი პრეზიდენტი, ერთი პრემიერი და ბევრი ექს-პრეზიდენტები უნდა იყოს, რომლებიც ციხეში არ ისხდებიან და ქვეყნიდან არ გაქრებიან.

### ოპოზიციონერებმა გაბედულად უნდა იმოქმედონ

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი საპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრისას აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი კომისიით დაინტერესდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს კომისიის ხელმძღვანელმა პაატა დავითაიამ განუცხადა, დენიელ ფრიდი დაინტერესდა კომისიის შექმნის მიზნებით და ოპოზიციონერ დეპუტატებს „გაბედული შეკითხვების დასმის" რეკომენდაცია მისცა.

შეხვედრისას კი, საუბრის ძირითადი თემა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ქართულ-რუსული ურთიერთობები იყო.

### დენიელ ფრიდი მხარს გვიჭერს

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე და საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე ისაუბრეს საპარლამენტო ოპოზიციამ და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდმა პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე.

დენიელ ფრიდმა შეხვედრა მნიშვნელოვნად და საინტერესოდ შეაფასა.

მისი თქმით, შეხედრისას მან კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ს მხარდაჭერა საქართველოსადმი, მისი სუვერენიტეტისადმი და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ასევე, მხარდაჭერა გამოხატა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისადმი.

### ტყეშელაშვილს ახალი არაფერი უთქვამს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქვეყნის ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებას ითხოვს. მინისტრის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე 6 აგვისტოს შემდეგ შემოსულმა ყველა შეიარაღებულმა ფორმირებამ ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვონ. ტყეშელაშვილმა ეს განცხადება გუშინ, ბრიუსელში გამგზავრების წინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

— ეს ეხება როგორც სამხრეთ ოსეთის, ასევე აფხაზეთის ტერიტორიას, რადგან ისინი იქ, უკანონოდ იმყოფებიან, — განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

ინტერპრესნიუსი, ჰი-ეიჩ-ენი



## ხედვა უცხოეთიდან



*მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის საკითხები, რომლებიც ცივი ომის არაოფიციალური დასრულების შემდეგ ახალი ამბებიდან ნელ-ნელა გაქრა. ეს გახლავთ ატომური იარაღის არსენალი და მეტადრე იმ ქვეყნების არსენალის სტატუს-კვო, რომლებიც თავიანთი სტრატეგიული შეიარაღების მდგომარეობის შესახებ არც ისე ბევრს საუბრობენ, უახლეს ისტორიაში კი წარმოებული ომის ხანგრძლივობის ამპლიტუდით შედიან. ბოლო ათწლეული რუსეთის შეიარაღების დემონსტრირების დეკადად გადაიქცა, ხოლო პოლიგონად „ძმები" — ჩეჩნეთი და საქართველო. დასავლეთის პრესაში რუსეთის შეიარაღების შესახებ ფრიად წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდება. სახელდება ციფრები — 118 მლრ. დოლარიანი სამხედრო ბიუჯეტის გასამმაგება; ან გაისად 80 მლრ. დოლარით გაზრდა; ან 2009-2011 წლებში ფედერალური ბიუჯეტიდან სამხედრო ხარჯებზე 14 პროცენტის გამოყოფა, ანუ 1,28 ტრლ. რუბლიანი არმიის შექმნა და ა.შ.*

*რუსეთის სტრატეგიული შეიარაღების ამჟამინდელი მდგომარეობის გასარკვევად კალიფორნიაში სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ცენტრის მუშაკს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ატომურ ფიზიკოსს პაველ პოდვიგს მივმართე. მან ჩემს კითხვაზე, თუ რამდენს ხარჯავს რუსეთი შეიარაღებაზე, მიპასუხა, რომ სსრკ-ს დროს ხაზინიდან 3 პროცენტი სამხედრო საჭიროებებზე გამოიყოფოდა. მაგრამ არც მაშინ და არც დღეს ამ ციფრების ცოდნას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა და არა აქვს, რადგანაც ისინი რეალობას სრულად არ ასახავენ, ხოლო სანდო ციფრების მოპოვება ლამის შეუძლებელია.*

# პაველ პოდვიგი: მრავალი მიზეზის გამო რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ნატოს გაფართოების ოპოზიცია ძალიან ხელსაყრელია

**— ბ-ნო პაველ, რას მოიცავს სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღება, რით განსხვავდება ამერიკისა და რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და აქვს თუ არა ისინი ირანსა და ისრაელს?**

— როგორც წესი, ამაში შედის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, ბალისტიკური რაკეტები წყალქვეშა ნავებზე და სტრატეგიული ბომბდამშენები. სტრატეგიული ძალების შემადგენლობა ყველას სხვადასხვაგვარი აქვს.

რუსეთში მოქმედებს სისტემა „ა-135", რომელიც 1970-1980 წლებში იქმნებოდა. იგი გათვლილია მოსკოვის დაცვაზე, ასევე ბირთვულმუხტიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის. ახლანდელი ამერიკული სისტემა კი არაბირთვულ შეპყრობაზეა მორგებული. არც ირანს და არც ისრაელს ასეთი სისტემები არა აქვთ, თუმცა ზოგადად, ეს სისტემები არც რუსეთს აქვს. მაგრამ ის, რაც არის, ბალისტიკური რაკეტებისგან დაცვას ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს.

**— 2009 წლის დეკემბერში სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება დასრულდება. რას უნდა ველოდეთ?**

— ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეს ხელშეკრულება, შესაძლოა, 5 წლით გაგრძელდეს. დეტალები ცნობილი არაა, მაგრამ შეთანხმება აუცილებლად დარჩება რაღაცა სახით. შემცირების პროცესი კი გაგრძელდება იმისდა მიუხედავად, ეს შეთანხმება დაიდება თუ არა. იქ არის რაღაც ცალკეული მომენტები, რომელთა საშუალებით საბრძოლო ბირთვული მუხტების შემცირება გაგრძელდება და შეიძლება 1000 ან 1500 ერთეულამდეც დავიდეს. ამავე დროს მოლაპარაკებები დღეს აღარაა ის მოქმედი ფაქტორი, რომელიც აშშ-სა და რუსეთს თავისი ატომური შეიარაღების შემცირებას აიძულებს. ამ ტიპის შეიარაღებებში არსებობს თავისი დინამიკა და ინერცია. საკმაო დროა საჭირო იმისთვის, რომ ამ არსენალის რიცხოვნობამ იკლოს. როცა ვამბობ, რომ მათი შემცირება ხელშკრულებისგან დამოუკიდებლად მოხდება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეთანხმება არაა საჭირო. ხელშეკრულება სხვა ამოცანებს წყვეტს — ეს არის შემცირების უზრუნველყოფის მეთოდები და სხვა თანამდევი მოქმედებების აღწერა.

**— რა რაოდენობისაა ეს „კრიტიკული მასა", რომელიც უნდა შემცირდეს?**

— ამერიკასა და რუსეთს აქვთ 300-300 საბრძოლო ბირთვული მუხტი, ხოლო საფრანგეთსა და ინგლისს — გაცილებით ნაკლები (რამდენიმე ასეული). ამ ორი ევროპული ქვეყნის პოზიცია ასეთია: ჯერ ჩვენს დონეზე დაიყვანეთ მათი რაოდენობა და მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებთ ჩვენი არსენალის შემცირებაზეო. დათვლა ამ არსენალისა, რაღაც გარკვეული წესების დაცვით ხდება. 2002 წლის მოსკოვური შეთანხმების თანახმად მხარეებს 2012 წლისთვის 1700 - 2200 საბრძოლო მუხტები ექნებათ. 2015-დან 2020 წლამდე რუსეთი თავის გაშლილ საბრძოლო ბირთვულ მუხტებს 1500 ერთეულამდე დაიყვანს. ამერიკაც ამავეს გააკეთებს. იმისთვის, რომ ახლავე 1500-მდე შემცირდეს მათი რაოდენობა, საჭიროა დიდი პოლიტიკური ნება. როცა სსრკ არსებობდა, აშშ-ს რიცხოვნული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ატომურ იარაღთან მიმართებაში რაოდენობას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.



**— ამჟამად ამერიკა რუსეთზე მეტს ამცირებს?**

— მთლად ასე არ ვიტყოდი, რადგან შემცირება ერთნაირად მიმდინარეობს. პრობლემა კი ის არის, რომ ორივე მხარე ერთნაირად არ აპირებს ატომური იარაღის მოდერნიზაციას. ყველა თავისებურად გააკეთებს ამას. ამერიკელებს თავიანთი პრობლემები და საკუთარი წარმოდგენები აქვთ იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ატომური იარაღი, რუსებს — თავიანთი. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მხარე ამას ნაკლები ან მეტი ენთუზიაზმით აკეთებს.

**— რუსეთი ევროპასთან ამ შეიარაღების შემცირების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა?**

— სსრკ 1960-იან წლებში ნატოს ყველა საბრძოლო ბირთვული მუხტის აღრიცხვას მოითხოვდა და მისი მოთხოვნა 1980-იან წლებშიც გაგრძელდა. ბუნებრივია, ამ პოზიციას ნატო არ იზიარებდა. ისტორიულად კი ისე დალაგდა, რომ ნატოს წევრები ინგლისი და საფრანგეთი ამ პროცესში არ მონაწილეობენ.

**— როგორ კონტროლდება ატომური იარაღის შემცირების პროცესი?**

— რეალურად ამას ამერიკა და რუსეთი აკეთებს. ამ შეთანხმების წევრები ფორმალურად არიან ყაზახეთი, ბელორუსია და უკრაინაც. ხელშეკრულებას მოქმედების თავისი სისტემა აქვს და გასაგებია, რომ ყოველი მხარე ეყრდნობა შემოწმების თავის საშუალებებსა და მეთოდებს. ინსპექტირება ხდება SNV-1 შეთანხმების გათვალისწინებით. არსებობს დიდი კომისია, რომელიც სხვადასხვა საკამათო საკითხს აგვარებს.

**— საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ შეიარაღებასაც SNV-1 არეგულირებს?**

— დიახ. ასევე არსებობს შეთანხმება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების თაობაზე, რომელიც აშშ-სა და რუსეთს მცირე (500 კმ.ძ და საშუალო (500-5000 კმ.ძ სიშორის რაკეტების წარმოებას უკრძალავს. ეს რაკეტები სრულიად აკრძალულია. ცხადია, რომ ორივე მხარეს ნება ეძლევა ჰქონდეს 500 კმ-ზე მცირე ან 5000-ზე დიდი სიშორის რაკეტა. ასეთი რაკეტების წარმოება არანაირი შეთანხმებით არ რეგულირდება. რაკეტა, რომლის სიშორე 5000 კმ.ზე მეტია, საკონტინენტთაშორისოდ ითვლება. ისინი აქვს აშშ-ს, ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს.

**— როგორ ფიქრობთ, ატომური იარაღი კვლავ გახდება მთავარი შემაკავებელი ფაქტორი?**

— არა. ვფიქრობ, რომ ატომური იარაღი რაიმე არსებით როლს არც ადრე ასრულებდა და არც ახლა ასრულებს. რასაკვირველია, საერთაშორისო ურთიერთობებიდან სტრატეგიული ატომური იარაღის ფაქტორის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ არა მგონია, რომ რომელიმე მხარე რაიმე სიტუაციაში სერიოზულად, ანდა თუნდაც არასერიოზულად განიხილავდეს ამ იარაღის გამოყენებას შანსს. ყველას ესმის, რომ იგი არსებობს და შეკავების როლს ასრულებს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში იგი ყველაზე გავლენიან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## ახალგორელებს ოსურ ჯარში იწვევენ

ახალგორის რაიონში მოსახლეობის აღწერის შედეგებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება ადგილობრივი ახალგაზრდების ჯარში გაწვევისთვის გამოიყენებს, რომელიც, შესაძლოა, ახალი წლის შემდეგ დაიწყოს.

თუმცა, როგორც ახალგორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ყოჩიშვილი განმარტავს, ამ ეტაპზე ქართველი ახალგაზრდების ოსურ ჯარში გაწვევა არ იგეგმება.

— თუ მოვლენათა ლოგიკას მივყვებით ვიმსჯელებთ, არ არის გამორიცხული, მოსახლეობის აღწერის შედეგები მომავალში ჯარში გაწვევისას გამოიყენონ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი ახალგაზრდები უკვე ოსურ ჯარში მიჰყავთ, — განაცხადა ავთანდილ ყოჩიშვილმა.

მისივე თქმით, სეპარატისტული ხელისუფლება აღწერის შედეგებს ე.წ. პასპორტიზაციისთვისაც გამოიყენებს.

ავთანდილ ყოჩიშვილის ინფორმაციით, ამ დროისთვის ახალგორის რაიონში შედარებით სიმშვიდეა, თუმცა, მოსახლეობის უსაფრთხოება დაცული არ არის.

ოსი სეპარატისტების მიერ ახალგორის რაიონში დარჩენილ ქართველ ახალგაზრდებზე განხორციელებულ ზეწოლას ადასტურებს ლიახვის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ბასიშვილი. ბასიშვილი აცხადებს, რომ ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები, რუსი ოკუპანტების დახმარებით, ახალგორში დარჩენილ ახალგაზრდებს სეპარატისტული ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში სამსახურს აიძულებენ. მისი თქმით, ბოლო პერიოდში ქართული მოსახლეობის შევიწროებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო.

პარლამენტარის განცხადებით, ქართულ მხარეს ამ დრომდე, ახალგორში შესვლის საშუალება არ ეძლევა და ამდენად, იქ მყოფი მოსახლეობის დახმარებას პრაქტიკულად ვერ ახერხებს.

## თურმე იარაღს აღარ მოგვაწოდებენ



საქართველო-რუსეთის ომის შედეგად ქართულმა სამხედრო ინფრასტრუქტურამ სერიოზული ზარალი განიცადა. ამასთან, სამხედრო ექსპერტთა განცხადებით, აგვისტოს მოვლენებმა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების არაერთი სუსტი მხარე გამოავლინა. ჯერ კიდევ აგვისტოს კონფლიქტის ცხელი ფაზის პერიოდში გახმიანდა, რომ ნატოც და აშშ-ც საქართველოს ომის შედეგად დაზიანებული თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემების რეაბილიტაციაში დაეხმარება. თუმცა, ითქვა ისიც, რომ საუბარია მხოლოდ თავდაცვის და უსაფრთხოების სისტემების და არა მთლიანად სამხედრო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე.

როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა აღნიშნავს, აგვისტოს მოვლენებმა დასავლეთი და ნატოს წევრი ქვეყნები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ საქართველოსთვის ეფექტიანი უსაფრთხოების სისტემების მშენებლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ნიკა რურუას განცხადებით, დასავლეთი საქართველოს ასეთი სისტემების მშენებლობაში აუცილებლად დაეხმარება და რუსეთის მცდელობა, საქართველოსთვის იარაღი მიწოდებაზე აკრძალვის დაწესების შესახებ წარუმატებლად დასრულდება.

თუმცა, სამხედრო თუ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის ამ წამოწყების წარუმატებლად დასრულების მიუხედავად, მისი განცხადებები საქართველოსთვის იარაღის მომწოდებელი ქვეყნების ნაწილზე შესაძლოა მაინც აისახოს.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართალი და თავისუფლება“ ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი არ გამორიცხავს, რომ რამდენიმე ქვეყანამ რუსეთის გავლენით საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე თვითშეზღუდვა დააწესოს.

სესიაშვილი აცხადებს, რომ რუსეთი დასავლეთს საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დადებას ოფიციალურად ვერ აიძულებს, თუმცა რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა ნატოს წევრმა რამდენიმე ქვეყანამ, მოსკოვთან ურთიერთობების გამწვავების თავიდან აცილების მიზნით საკუთარ თავს თვითშეზღუდვა დაუწესოს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსთვის იარაღის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებას მოსკოვი აგვისტოს მოვლენების შემდეგ ითხოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ნათელაშვილი ამერიკაში უვიზოდ სტუმრობას გვთავაზობს



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ აშშ-მ საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური პარტნიორი, მოატყუა. ნათელაშვილი აშშ-ს ხელისუფლებისგან საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებას მოითხოვს.

როგორც ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ამ განცხადების გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში იმყოფება აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი.

— სააკაშვილის მარიონეტულმა ხელისუფლებამ საქართველოს ინტერესები შესწირა რუსეთ-ამერიკის ბრძოლას გეოპოლიტიკური პირველობისთვის, — განაცხადა ნათელაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ ამერიკის მხარდაჭერისთვის ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, კერძოდ, დაკარგა ტერიტორიები, რუსეთის უდიდესი ბაზარი, გააუქმდა რუსეთთან უვიზო მიმოსვლა.

მანვე აღნიშნა, საქართველოსთვის უნდა მოიძებნოს იმ ბაზრის შემცვლელი, რომელიც საქართველომ რუსეთის სახით დაკარგა. ნათელაშვილი მოითხოვს, საქართველოსთან აშშ-მ თავისუფალი ვაჭრობისა და გადაადგილების ხელშეკრულება გააფორმოს.

ინტერპრესნიუსი

დოკუმენტი

# ყარსის ხელშეკრულების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციის უზრუნველყოფა დღეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ყველა პრობლემა, ამასთან შედარებით, მნიშვნელობას ჰკარგავს, თუმცა ყველა პრობლემა მხოლოდ კანონის უზენაესობით გადაიჭრება, სხვა გზა ნებისმიერი საკითხის მოგვარებისა, უბრალოდ არ არსებობს.

ყველა ჩვენი უბედურების სათავეც ხომ კანონის უარყოფაა. უახლესი უკანონობა წინა საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა რომ დაამხეს და ძალაუფლება მიიტაცეს, მაშინაც დემოკრატიის სახელით დაანგრიეს ქვეყანა და გააჩუქეს ტერიტორიები მათი ხელისუფლებაში ყოფნის სანაცვლოდ (როგორ ჰგავს დღევანდელ მდგომარეობას!). ერთ-ერთი ასეთი დიდი ღალატი იყო ე. წ. ყარსის ხელშეკრულება, რომლის ნაყოფს დღესაც ვიმკით. იქნებ ზოგიერთ მკითხველს უკვე დაავიწყდა ისედაც შეგნებულად მიჩქმალული ეს ხელშეკრულება, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცებას, და რომლის ძალითაც, საქართველოს ტერიტორია 91,1 ათას კვ.კმ-დან შემცირდა 69,7 ათას კვ.კმ-მდე (91,1 ათასი კვ.კმ ცნობილია ერთა ლიგის მიერ 1918წელს). არსებობს ეჭვი, რომ ამ ხელშეკრულებას ერთვოდა საიდუმლო მუხლები, რომლის არსი ბოლო დროის მოვლენებმა საკმაოდ ცხადყო. ქართველ ერს მართებს ამ ხელშეკრულების მიღებისა და მოქმედების პერიპეტიის გახსენება და გააზრება, რის შედეგადაც გასაგები გახდება ამ ხელშეკრულების დანაშაულებრივი არსი და მისი ბათილად ცნობის აუცილებლობაც.

1920 წლის 7 მაისს რუსეთმა დადო სამშვიდობო ხელშეკრულება დემოკრატიულ საქართველოსთან და (ერთი წლის შემდეგ თვითონვე დაარღვია, როცა განახორციელა საქართველოს ოკუპაცია) და მასვე მოჰყვა ყარსის ხელშეკრულებაც.

1920 წლის 14 აგვისტოს ლენინმა მოსკოვში ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბაქირ სამი ბეის აღუთქვა: „უეჭველია უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისა“, ხოლო მე-11 არმიის სარდალი გეკერი, 1920 წლის დეკემბერში, საიდუმლო მოხსენებაში წერდა, რომ საქართველოს ოკუპაცია მხოლოდ ოსმალეთის მხარდაჭერითაა შესაძლებელი და ყველაფერი ეს ასეც მოხდა.

1921 წლის 16 მარტს, მაშინ როცა საქართველოს კანონიერი ხელისუფლება ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა (იგი 19 მარტს გაემგზავრა ბათუმიდან), მოსკოვში ხელი მოეწერა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას.

ამ ხელშეკრულებას ზოგჯერ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებადაც მოიხსენიებენ, რაც არამართებულია (1922 წლის 1 ნოემბერს გაუქმდა სასულთნო, 1924 წლის 3 მარტს კი — ხალიფატი).

1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში დაიდო „ხელშეკრულება სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან, რუსეთის მონაწილეობით“.

ეს ხელშეკრულება იყო ფაქტობრივი რატიფიკაცია 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებისა.

ყარსის ხელშეკრულებაზე ხელის მომწერთაგან არც ერთი არ იყო თავისი ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება, ამიტომ მათ არავითარ დოკუმენტზე ხელის მოწერის უფლება არ ჰქონდათ. სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს წარმოადგენდნენ რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაცია, ხოლო ოსმალეთის მხრიდან ხელი მოაწერა ოსმალეთის სასულთნოს შიგნით პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენელმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ, რომელმაც 1920 წლის 23 აპრილის შემდეგ, თავი სასულთნოს ერთადერთ წარმომადგენლად გამოაცხადა. რუსეთის მონაწილეობა ამ ხელშეკრულებაში სრულიად გაუმართლებელია. იგი იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დამრღვევი ქვეყანა. საქართველომ მედგრად იბრძოლა, მაგრამ დამარცხდა. სამხრეთ საქართველო თურქეთმა დაიპყრო, დანარჩენი კი — რუსეთმა.

ცხადია, ყოველგვარ იურიდიულ საფუძველსაა მოკლებული ყარსის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით „განახლებული“ თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულებაც, რომელიც 1992 წლის 30 ივლისს განახლდა. ისტორია მეორდება. აქაც არაკანონიერმა ხელისუფლებამ მოაწერა ხელი (1991 -1992 წლების პუტჩის სამართალმემკვიდრე შევარდნაძე), საქართველომ ამ ხელშეკრულებით, როგორც მორალური, ასევე მატერიალური აუნაზღაურებელი ზარალი მიიღო.

აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის მარტი-აგვისტოს დადგენილებების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის, 1992 წლის 13 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილების, გაეროს წესდების, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ეუთოს ვენის, 1986 წლის კონვენციის პრინციპების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს ამ ხელშეკრულებების დენონსაცია (ბათილად ცნობა), რაც მოხდა კიდეც 2005 წლის 21 ოქტომბერს. გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას ყარსის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრესცენტრი.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებსა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან, რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული 1921 წლის 13 ოქტომბერს და საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ 1992 წლის 30 ივლისს გაფორმებული ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულებების ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ.

1. ქართული მხარე ცნობს ბათილად, იურიდიული ძალის არმქონედ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების არალეგიტიმური მთავრობების მიერ ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთვრობასთან რუსეთის მონაწილეობით დადებულ 1921 წლის 13 ოქტომბრის არალეგიტიმურ არაკონსტიტუციურ ხელშეკრულებას და ყოველგვარ ვალდებულებას იხსნის მის შესრულებაზე;

2. საქართველოს რესპუბლიკის არალეგიტიმური მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტისა და ამავე წლის 17-18 აგვისტოს დადგენილებებიდან, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია განისაზღვროს 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით, რომელიც აღიარებულია ერთა ლიგის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ალ. ჟღენტი

თბილისი, 2005 წლის 21 ოქტომბერი

ხედვა უცხოეთიდან

# პაველ პოდვიგი: მრავალი მიზეზის გამო რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ნატოს გაფართოების ოპოზიცია ძალიან ხელსაყრელია



(მეორე გვერდიდან)

**— მიწისქვეშა ბირთვული გამოცდები კვლავ ტარდება?**

— არა, ამგვარი გამოცდები 1990 წლების დასაწყისში შეწყდა. რუსეთს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, იგი არ ჩაუტარებია. ბოლო აფეთქება 1991 წელს განხორციელდა, ჯერ კიდევ სსრკ-ის არსებობის დროს. როგორც წესი, ბირთვული მუხტებისთვის გამოიყენება ბირთვული რეაქტორების საწვავი, რომლისგანაც მოგებაც და რისკებიც ძალიან ბევრია.

**— ჩრდილოეთ კორეამ გაშალა კარტი და განაცხადა, რომ მას 50 კგ. პლუტონიუმი აქვს, არადა ბომბის შექმნას სულ 4 კგ. სჭირდება. რას ცვლის ამგვარი სტატიტიკის გაცხადება?**

— არსებითად, არაფერს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩრდილოეთ კორეამ საერთაშორისო ექსპერტებს თავისი შეიარაღების ინვენტარიზაციის უფლება მისცა, ანუ აჩვენა ის, რასაც აწარმოებს.

**— კრემლს პოლონეთსა და ჩეხეთში ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების დაყენებასთან დაკავშირებით ისტერიკა დაემართა. არის კი იმის მინიმალური შანსი მაინც, რომ ეს სისტემა თავდაცვის მაგივრად თავდამსხმელ სისტემად გადაიქცევა?**

— ეს სისტემები მხოლოდ თავდაცვითია და მათი იერიშისთვის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.

**— საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენების ფონზე პოლონეთმა ამერიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების თავის ტერიტორიაზე დაყენების თანხმობა სასწრაფოდ განაცხადა. რატომ ჭიანურდებოდა ეს პროცესი მანამდე?**

— პოლონეთსა და აშშ-ს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება 10 ცალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების შესახებ, რომელიც რაკეტების შემპყრობებს შეიცავს. პოლონეთი სთხოვდა სხვა სიშორის რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების დაყენებასაც, მაგრამ ეს შეთანხმებაში არ იყო გათვალისწინებული. მოლაპარაკების პროცესი კი იმიტომ გაიწელა, რომ მხარეები ფასზე ვერ შეთანხმდნენ. პოლონეთი უფრო დიდ თანხას ითხოვდა, ვიდრე ამის გადახდა აშშ-ს უნდოდა. პოლონეთს ამ სისტემების განთავსებით უნდოდა არა მარტო დაცვის გარანტიების მიღება, არამედ აშშ-ს თვალში საკუთარი რენომეს აწევაც. პოლონეთი მოქნილად მოქმედებდა. ამავე დროს აშშ ხედავდა, რომ პოლონეთი, ფაქტობრივად, მზადაა დათმობებზე წავიდეს. მეორეს მხრივ, ეს იყო იმის სიგნალი, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე აშშ მზადაა თავის თავზე აიღოს რაღაც სახის პასუხისმგებლობები. სწორედ ამ დროს მოხდა თავდასხმა საქართველოზე, რამაც ეს მოლაპარაკებები ჩიხიდან გამოიყვანა და პოლონეთმა თანხმობა განაცხადა. მაგრამ პოლონეთს არ აქვს ამ ამერიკული სისტემის გაკონტროლების და არც მომსახურე პერსონალის შერჩევის უფლება. ეს არის წმინდა ამერიკული სისტემა. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ იგი 1 მილიარდი დოლარი დაჯდა.

**— ჩეხეთში რა სისტემა განლაგდა?**

— ჩეხეთმა უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, ხოლო მოლაპარაკებების პროცესი ნაკლებ წინააღმდეგობრივი იყო, ვიდრე — პოლონეთში. ჩეხეთში რადიოლოკაციური სადგურია განლაგებული, ხოლო პოლონეთში — შემპყრობი სისტემები, რომლებიც ასევე დიდი სისტემის ნაწილია. ამ სისტემაში კიდევ არის სხვა საჭირო კომპონენტი - რადიოლოკაციური სადგური, რომელიც ირანთან ახლოს უნდა განთავსდეს. ეს პუნქტი შეიძლება საქართველოში ან აზერბაიჯანში დაიდგას.

**— როგორ ფიქრობთ, 7 აგვისტომდე საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხი რამდენად იყო ხელოვნურად პოლიტიზებული?**

— სამივე მხრიდან ეს საკითხი საკმარისზე მეტად იყო და არის პოლიტიზებული. ნატოში ამ ქვეყნების გაწევრება რუსეთისთვის არანაირ არსებით და, ზოგადად, სამხედრო საფრთხესაც არ წარმოადგენს. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ნატოს გაფართოების ოპოზიცია ძალიან ხელსაყრელია. დასავლეთთან მიერთებისათვის, ევროკავშირში გასაწევრებლად საქართველოსა და უკრაინისთვის, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვის, ნატოში გაწევრება სავსებით მისაწვდომი და შედარებით არართული მეთოდი იყო. გასაგებია, ამ იდეას რატომ ჰყავდა ამდენი მხარდამჭერი. ამ სიტუაციაში სამწუხარო ის იყო, რომ დისკუსია მხოლოდ საომარ არგუმენტებამდე დადიოდა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი სავსებით დასაშვებია. ეს სიტუცია კი საკმაოდ საშიშია. გასაგებია, ნატოს გაფართოების საკითხში ევროპელები რატომ ფრთხილობდნენ. სხვა საქმეა, რომ მათი სიფრთხილე კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ ევროპაში რუსეთის ინტეგრირებისთვის (შესაძლოა, ნატოს სტრუქტურებშიც კიძ ხელი შეეწყოთ, დასავლეთი რუსეთისა და ნატოს დაპირისპირების რეჟიმში დარჩა.

**— ბუქარესტში ევროპამ ხომ მისთვის ჩვეული „პრინციპული“ სიფრთხილე დაადასტურა?..**

— ევროპისთვის ნატოს გაფართოების პროცესში გარკვეული სახის წინააღმდეგობაა. აპრილში ახალი წევრების მიღება წამახალისებელი ნაბიჯი, პოლიტიკური ჟესტი იქნებოდა, რომელსაც რუსეთი რეალურად გაიგებდა. საქართველოში აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა კი აჩვენა, რომ ეს პოლიტიკა — გაფართოების სურვილი — რეალობასთან წინააღმდეგობაშია. ამიტომ ნატო იძულებულია, დაფიქრდეს. ახალი წევრის მიღება სერიოზული ვალდებულებაა მოწვეული ქვეყნების მიმართ, ეს არის უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ სიმბოლური ჟესტი.

**— ამერიკა დუმდა გროზნოს დაბომბვისას. ჩეჩნეთში წაგებული სამხედრო კამპანიის შემდეგ აშშ-მა ამ დუმილით რუსეთს არაცნობიერად ხომ არ უბიძგა იმისკენ, რათა მას თავისი შეიარაღება კიდევ ერთ საბრძოლო ველზე გამოეცადა?**

— ასეა თუ ისე, რუსეთმა მაინც შეძლო ჩეჩნეთის კონტროლის ქვეშ მოქცევა. მე არა მგონია, რომ ახლა ჩეჩნეთში წაგებულ ომზე უნდა ვისაუბროთ. ასევე არა მგონია, რომ ამერიკას ამ საკითხში რამენაირი გავლენა მაინც მოეხდინა. ასევე არა მგონია, რომ ამერიკას რაიმე კონკრეტული გეგმები ჰქონდეს საქართველოში სამხედრო ბაზების განლაგებასთან დაკავშირებით. თუმცა ვფიქრობ, რომ აშშ ბაზების თქვენთან განლაგების წინააღმდეგი არ იქნება, თუნდაც თეორიულად.

**— რუსეთის ნატოსადმი შიშს ერთი რაციონალური მარცვალი თუ აქვს?**

— საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვანი. ერთის მხრივ, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, რომელიც ამერიკელებმა ჩეხეთსა და პოლონეთში განათავსეს, რეალურად არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენენ. ისინი ირანის რაკეტებსაც კი ვერ შეეწინააღმდეგებიან. რუსეთში არიან ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ ევროპაში განლაგებული სისტემები რუსეთს არანაირ საფრთხეს არ უქმნის. მაგრამ საქმე ის არის, რომ რუსეთმა ეს ნაბიჯი არამეგობრულ ჟესტად ჩათვალა, ამ ხელშეკრულებებზე ხელმოწერა კონფრონტაციულ რეჟიმში განხორციელდა. ასევე ბევრი ადამიანია რუსეთში, ვინც მზადაა ქულები დაიწეროს ამ კონფრონტაციული რეჟიმის არსებობით და თავისი მიზნების მისაღწევად ცინიკურად გამოიყენოს იგი. ის, რომ ამ საკითხმა ასეთი რეზონანსი მიიღო მხოლოდ პოლიტიკის დამსახურებაა, რადგანაც, ისევ ვიმეორებ, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ხომ გაგიგიათ რუსული ანდაზა „კომუ ვოინა, კომუ მატ როდინა“. კონფრონტაცია ხელსაყრელი რეჟიმია, ამიტომ კრემლი ნატოსა და რუსეთის დაპირისპირებას აღვივებს. ანუ, დიდია დაინტერესება იმით, რომ მოვლენები ისე განვითარდეს, როგორადაც იგი ახლა ვითარდება.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთი სამომავლოდ გაზისა და ნავთობის ქვეყანასთან ერთად მილიტარისტულ სუპერსახელმწიფოდ გადაქცევასაც შეეცდება?**

— საქმეც ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა უნდა რუსეთს. არა მგონია ეს ვინმემ საერთოდ იცოდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ რუსეთი თავად უნდა გაერკვეს, თუ რა უნდა ბოლოს და ბოლოს... ადამიანები ყოველწამიერი წვრილი ინტერესებიდან გამოდიან და იქცევიან სამყაროზე თავიანთი წარმოდგენების მიხედვით. ძალიან ვეჭვობ, რომ სამხედროები გრძნობდნენ, თუ რა არის რუსული ჯარი; საითკენ უნდა წავიდეს. პუტინს თავისი წარმოდგენა აქვს პოლიტიკის წარმოებაზეც. სულაც არაა აუცილებელი მას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი მიზანი. კრემლმა ისიც არ იცოდა, გადავიდოდა თუ არა იგი აგვისტოში ფართომასშტაბიან საომარ ქმედებებზე. დიახ, მიდის რუსეთის მილიტრიზაცია და ეს იმიტომ ხდება, რომ მან სხვა სფეროში უპირატესობის გამოვლენა ვერა და ვერ მოახერხა. უბრალოდ, ასე აეწყო. იმ ადამიანებს, ვინც პოლიტიკაში რამენაირ გავლენას ახდენენ, თავიანთი ინტერესი აქვთ და ეს ინტერესი საომარი სცენარით გაგრძელდება, თუნდაც იმიტომ, რომ მილიტარიზაცია გაცილებით მარტივი გზაა. რაკეტებისა და ბომბდამშენების წარმოება გაცილებით ადვილია, ვიდრე მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ადამიანები ასე ხედავენ რეალობას: მნიშვნელოვანია რაკეტების შექმნა.

**— ამერიკა ახლაც აცხადებს, რომ იგი იმედს არ კარგავს, რომ რუსეთი ანტიირანულ კოალიციას შეუერთდება...**

— არა მგონია, რომ რუსეთი აშშ-სთან ერთად ირანის საწინააღმდეგო კოალიციაში გაწევრდება. თუმცა ცხადზე ცხადია: რუსეთი, ისევე როგორც სხვები, არ არიან დაინტერესებული იმით, რომ ირანს ატომური იარაღი ჰქონდეს. ამაზე საუბარი ახლა ცოტა ძნელია.

**— თეორიულად მაინც არის შესაძლებელი, რომ რუსეთი და ირანი ბირთულ იარაღზე მოლაპარაკდნენ?**

— დამერწმუნეთ, ამგვარი შეთანხმება არ იქნება.

**— რუსეთი ისედაც ზრდის თავისი ჯარის დაფინანსებას, მაგრამ რა იქნება, თუ საქართველომ და უკრაინამ ნატოს სამოქმედო გეგმა მიიღეს?**

— არ მგონია, რომ ამ ორი ქვეყნის მიღება რუსეთის სამხედრო ბიუჯეტზე რამენაირად მაინც აისახება. თუმცაღა ნატოს გაფართოების შემთხვევაში სამხედრო სამრეწველო კომპლექსს მეტი თანხის მოპოვება უფრო გაუადვილდება.

**— რუსეთი ამჟამად რომელი სახის იარაღის მოდერნიზაციას აწარმოებს?**

— ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ხდება ბალისტიკური და საკონტინენტთაშორისო იარაღის, წყალქვეშა ნავების მოდერნიზება. ეს პროცესი თავისით მიდის და იგი დამოკიდებულია არა მარტო ფულზე, არამედ ტექნოლოგიებზეც, რომელმაც ეს ფული უნდა აითვისოს. ამ სისტემას თავისი დინამიკა აქვს.

**— კუბაზე რუსული ბაზების განლაგება რამდენადაა შესაძლებელი?**

— ეს აბსურდია. ჯერ კიდევ სსრკ-მა განაცხადა, რომ ამას არ გააკეთებს. იმედი მაქვს, რომ რუს პოლიტიკოსებს ჭკუა ეყოფათ. თუ არადა, ეს იქნება უაღრესად კონფრონტაციული ნაბიჯი....

**— აუცილებელია, ნატოს წევრი ქვეყანა იყო, რომ საკუთარ ტერიტორიაზე იმდაგვარი სისტემა განლაგდეს, როგორიც ჩეხეთსა და პოლონეთშია?**

— არაა აუცილებელი. ეს მოლაპარაკების საგანია. მაგრამ თუ ამგვარი სისტემები ახლა საქართველოშიც განლაგდება, ამას რუსეთი კვლავ არამეგობრულ ჟესტად აღიქვამს. კონფრონტაცია სხვა ფაზაში გადავა და ეს ნამდვილად სამწუხარო და საშიში იქნება...

**— დიდი ხნის წინათ BBC-ის ტელევიზით აჩვენეს დოკუმენტური ფილმი იმის შესახებ, რომ 1990-იან წლებში რუსეთში ბირთვული „ჩემოდანჩიკი“ სადღაც დაიკარგა. ჰოლივუდის „ბლოქბასტერები“ იქით იყოს, მაგრამ რამდენად არსებობს ამის რეალური საშიშროება? მართვის სისტემის კომპიუტერიზაციის გამო, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ჰაკერმა“ შესაძლებელია სისტემა გატეხოს?**

— თქვენს მიერ ხსენებული ინციდენტის არსებობის დადასტურება არსად შემხვედრია. საბოტაჟისა და დივერსიისგან ამგვარი მმართველობის პულტები ძალიან კარგად და ჭკვიანურადაა დაცული. თუმცა აშშ-ში შარშან არასასიამოვნო შემთხვევა მოხდა, როცა 6 ბირთვული საბრძოლო მუხტი „დაიკარგა“. ისინი დატვირთეს და სადღაც წაიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი დაცვის სისტემა სრულყოფილი არაა; რომ ასეთი ინციდენტის ალბათობა ნამდვილად არსებობს. თუმცა ისინი მალევე სხვა ბაზაზე აღმოაჩინეს, მაგრამ მხოლოდ ერთი დღის შემდეგ. პრობლემა კი ის იყო, რომ არავინ იცოდა მათი გადანაცვლების შესახებ. მხოლოდ მაშინ როცა მეორე ბაზაზე აღმოაჩინეს, მიხვდნენ, რომ იგი პირველიდან „დაკარგული“ იყო. ერთი დღე საკმაო დროა.

„ჩემოდანჩიკის“ შენახვის სპეციალური დირექტივა არ არსებობს, მხოლოდ უსაფრთხოების ზოგადი პრინციპები მოქმედებენ. მართვის პულტის არასანქცირებული მისაწვდომობა დღემდე არ ყოფილა. პულტს გაშვების ღილაკი არ აქვს, ეს არის დირექტივების გაცემის ხაზები, მათ შორის სატელეფონო.

არა მგონია, რომ გარეშემ სტრატეგიული შეიარაღების მართვის ქსელში შეღწევა მოახერხოს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სერიოზული ინციდენტი, ანდა პროვოკაცია გამორიცხულია. უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ არსებობენ სტრატეგიული ატომური ძალები, შემთხვევით მათი გამოყენების ალბათობა ყოველთვის იქნება. ეს ალბათობა, რასაკვირველია, ძალიან მცირეა, მაგრამ სამაგიეროდ მისი შედეგები უაღრესად სერიოზული და დამანგრეველი იქნება.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ.
ნიუ-იორკი-სტენფორდი, აშშ.

ინფორმაცია

## აფხაზებს რუსეთში ელჩი ჰყავთ

**სეპარატისტულ აფხაზეთში რუსეთის ელჩად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს ქვეყნების მე-4 დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე სიმეონ გრიგორიევი ინიშნება.**

რუსული მედია იუწყება, რომ დიპლომატისთვის კარგადაა ნაცნობი რეგიონი, სწორედ იგი იყო პასუხისმგებელი რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანაზე.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთში რუსეთის ელჩის კანდიდატურა უკვე შეთანხმებულია აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ შამბამ პრესკონფერენციაზე ელჩის გვარი არ დაასახელა, განაცხადა, რომ ელჩის კანდიდატურა უკვე წარედგინა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და რუსეთის დუმის შესაბამის კომიტეტს. ჩვენთვის მხოლოდ ცნობილია ის, რომ იგი ცნობილი რუსი დიპლომატია, — განაცხადა შამბამ.

რუსული მედიის ინფორმაციით, სიმეონ გრიგორიევის აფხაზეთში ელჩის თანამდებობაზე დანიშვნა, ასევე დაადასტურა რუსეთის დუმის დსთ-ს საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა. მისი თქმით, გრიგორიევი პროფესიონალი დიპლომატია, რომელსაც კარგი წარმოდგენები აქვს აღმოსავლეთზე.

ჯი-ეიჩ-ენი

დავა ევროპაში

# ჰააგაში ქართველების ბედი ერთმა მოსამართლემ გადაწყვიტა, თუმცა... ჯერ კიდევ დრო აქვს და აზრი რომ შეიცვალოს?

***ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოში მიღწეული წარმატების შესახებ საქართველოს მთავრობამ სიხარულით გვამცნო. ვინაიდან ხელისუფლება დამარცხებულ ომსაც მიღწევად და დადებით ფაქტად აღიქვამს, ბუნებრივია, ეჭვი გაგვიჩნდა, არის თუ არა მართლა მიღწევა და ჩვენთვის ხელსაყრელი ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება. კომენტარისთვის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მივმართეთ. გვესაუბრება იურისტი სოფო ჯაფარიძე:***

— ჰააგის საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის მოთხოვნა დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე. დროებითი ღონისძიება ეს არის დროებითი ზომა მანამ, სანამ სასამართლო არსებითად განიხილავს დავას და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს. იმისათვის, რომ გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს მოქალაქეებს, რომელთა უფლებების დარღვევაზეც საქართველო დავობს, სასამართლოს შეუძლია, მოსთხოვოს კონკრეტულ ქვეყანას ამა თუ იმ ქმედების განხორციელება ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის დასაბუთება ასეთი იყო: სანამ საერთაშორისო სასამართლო არსებითად განიხილავს დავას, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ მოქალაქეებს, რომლებიც კონფლიქტის ზონებში იმყოფებიან, გამოუსწორებელი ზიანი მიადგებათ. შესაბამისად, ჰააგის სასამართლომ საქართველოს მთავრობის მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ აქვე ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ სასამართლომ ვალდებულებები დააკისრა ორივე მხარეს. როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მთავრობას ევალება, თავი შეიკავონ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებისაგან, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირებთან მიმართებაში. ასევე თავი შეიკავონ იმ პირების დაფინანსებისაგან, ვინც ახორციელებს დისკრიმინაციულ ქმედებებს, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გააკეთონ ყველაფერი, რათა უზრუნველყონ სადავო ტერიტორიაზე ადამიანთა უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება და საკუთრების უფლების დაცვა. ეს არის დოკუმენტის შინაარსი, რომელზეც პასუხისმგებლობა სასამართლომ ორივე მხარეს დააკისრა.

**— თუ გაქვთ მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად არღვევდა აქამდე საქართველო ევროპის კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს?**

— ვინაიდან, პროცედურულად ეს არის მხოლოდ დროებითი ღონისძიების განხილვა, არსებით განხილვაში სასამართლო არ შესულა. ვინ როგორ არღვევდა უფლებებს, ეს ცალკე განხილვის საგანია, რომელიც მომავალში შედგება.

**— არის თუ არა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება წარმატება საქართველოსთვის?**

— წარმატებაა იმდენად, რამდენადაც რუსეთის ფედერაცია ყველანაირად ცდილობდა პასუხისმგელობა თავიდან აერიდებინა და დაემტკიცებინა, რომ ეს არ იყო საერთაშორისო სამართლის იურისდიქცია. რუსეთის მხარე ამბობდა, რომ საქართველოს მთავრობამ წინაპირობა არ შეასრულა და საკითხის მოსაგვარებლად არ მიმართა მოლაპარაკების სხვა ინსტიტუტებს. რუსეთი ასაბუთებდა, კონვენციის იმ დებულებებს, რომლის დარღვევაზეც დავობდა საქართველოს მთავრობა, არ ჰქონდა ექსტრა-ტერიტორიალური გამოყენებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი პასუხს არ აგებდა, რადგან ეთნოწმენდის და დისკრიმინაციის ფაქტები მის ტერიტორიაზე არ იყო ჩადენილი, ის არ ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს.

ასეთი მწვავე დებატებისა და არგუმენტაციის მიუხედავად, მაინც მოხერხდა, რომ ევროპის სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის მოთხოვნა და რუსეთს პასუხისმგებლობა დააკისრა. ეს კარგი წინაგანწყობაა შემდეგი განხილვისთვის.

**— რა პერიოდს ეხება საქართველოს მთავრობის მიერ შეტანილი სარჩელი?**

— 1992 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე. დავა მიმდინარეობს ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის საკითხებზე და სამ ეტაპად არის დაყოფილი.

**— ქართულ მხარეს რამდენად კარგად მომზადებული მყარი არგუმენტები აქვს?**

— დოკუმენტიდან გამომდინარე, საქართველოს განაცხადი საკმაოდ არგუმენტირებულია, მაგრამ მტკიცებულებები რამდენად კარგად არის დასაბუთებული, ეს უკვე საბოლოო შედეგის დროს გამოჩნდება.

**— რა დროში გაიწელება ეს პროცესი?**

— სასამართლოს წესდებით კონკრეტული ვადა გათვალისწინებული არ არის. თუ როდის უნდა მოხდეს არსებითი განხილვა, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუწყობენ მხარეები ხელს და იმაზეც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განსახილველი საკითხი. რუსეთის ფედერაცია ყველანაირად მოწადინებულია, პროცესი გააჭიანუროს... სავარაუდოდ, ერთი წლის ვადაში უნდა მოხდეს განხილვა.

**— როგორ ფიქრობთ, შედეგი როგორი იქნება?**

— სასამართლო შედეგი, პირველ რიგში, ის იქნება, რომ დადგინდეს კონკრეტული დარღვევის ფაქტი და პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას დაეკისროს, რაც რუსეთის იმიჯის შელახვა იქნება...

**— და ამას პოლიტიკური ზეგავლენა ექნება?**

— დიახ, ამის იმედი გვაქვს. თუმცა აქვე მოგახსენებთ, რომ რუსეთი შეიმჩნევა ევროპის სასამართლოს აღუსრულებლობაში. საბოლოოდ აღუსრულებელი ვალდებულება არ არსებობს, მაგრამ დროში წელავენ. ევროპის სასამართლოში ძალიან ბევრი სარჩელი შედის რუსეთის წინააღმდეგ, ძირითადად, ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ასევე საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა საკითხი რვა ქვეყნის მხარდაჭერით შვიდის წინააღმდეგ. უკეთესი იქნებოდა, თუ უმეტესობით მოვიგებდით, რადგან იმ ერთმა მოსამართლემ აზრი ადვილად შეიძლება შეიცვალოს. ეს სახიფათოა.

მე ხაზს გავუსვამდი იმასაც, რომ მართალია, საქართველოს მთავრობა ამბობს, ევროპის სასამართლოს იურისდიქცია აქვს ამ დავასთან მიმართებაშიო, მაგრამ გადაწყვეტილებაში წერია, ამ ეტაპზე სასამართლოს მიაჩნია, რომ სავარაუდოდ მას იურისდიქცია აქვს,



თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ არსებითი განხილვის დროს მან საწინააღმდეგო გადაწყვიტოს. ანუ, თუ სასამართლო არსებითი განხილვის დროს ჩათვლის, რომ მას არ გააჩნია იურისდიქცია, ეს საქართველოს მთავრობის წარუმატებელი სარჩელი იქნება. ჩემი აზრით, ეს მომენტი მნიშვნელოვანია.

**— მერე რა გზა რჩება ჩვენს ხელისუფლებას?**

— ამ დავასთან დაკავშირებით სხვა გზა არ რჩება, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება, რასობრივ დისკრიმინაციასა და ეთნიკურ წმენდას მხოლოდ ჰააგის სასამართლო განიხილავს.

მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს შეტანილი აქვს სახელმწიფოთა შორის განაცხადი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. იქ დავა იქნება უკვე ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლების დარღვევაზე.

**— ამ კუთხით საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია, მათ შორის თქვენი ასოციაცია აპირებს სტრასბურგში ჩივილს, არა?**

— დიახ, ჩვენთან უკვე მოვიდა ბევრი დაზარალებული ადამიანი, მათი ძირითადი პრეტენზიებია საკუთრების უფლებების დარღვევა, ანუ გადამწვარი სახლები სხვადასხვა სოფელში, ბევრი ჩივის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ ადამიანთა შესახებ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში იყვნენ ტყვეობაში, მოქალაქეები, რომლებიც დაშავდნენ ან გარდაიცვალნენ საჰაერო იერიშის ან კასეტური ბომბების ნარჩენების შედეგად.

ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციებს, ჩავდივართ სოფლებში და ადგილზე ვსწავლობთ ვითარებას. ვცდილობთ, გარკვეული კატეგორიების მიხედვით გავაერთიანოთ დაზარალებული ადამიანები და ერთ სარჩელში მოვაქციოთ, რადგან ასე უფრო მარტივი და ადვილი იყოს სარჩელზე მუშაობა, ხოლო შემდეგ — ევროპის სასამართლოში მისი წარდგენა და განხილვა.

თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ქართველებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ეს ნიშნავს, რომ დადგინდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან დარღვევები და ის ვალდებული იქნება, დაზარალებულებს გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებისთვის.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

თვალსაზრისი

# ამ უტვინოებს რა ეშველებათ...

**ახლო ნაცნობი მყავს, უმაღლესი განათლებით, ერთი შეხედვით ინტელექტუალი, კითხულობს წიგნებს, გაზეთებს, უმეტესად — ოპოზიციურს და უყურებს „რუსთავი-2“-ებს. ერთ დროს საამქროს უფროსიც იყო (ის ქარხანა ნაცარტუტად აქციეს). დღეს პენსიონერია, სული ძლივს გააქვს.**

ასეთი ტიპის კიდევ სამი თუ ოთხი ნაცნობი მყავს. ზოგს უცხოეთში გადახვეწილი, შვილები ინახავს, ზოგმა პირწმინდად გაყიდა რაც კომუნისტების დროს შეიძინა, და ახლა ღმერთმა უწყის რითი არსებობს. სადმე ყარაულადაც თუ მოეწყო, ხომ კარგი, თუ არადა...

ამ ჩემს ნაცნობებს ერთმანეთთან ხელისუფლების თავგადაკლული სიყვარული აკავშირებს. ბიჭი ხარ და მათთან მიშაზე ძვირი დაგცდეს!..

შიდა ქართლი რომ დავკარგეთ, კოდორი მიშამ ზემოაფხაზეთად რომ მონათლა (სინამდვილეში სვანეთიაძ, და ისიც ზედ მიაყოლა, ათასობით ადამიანი რომ დაიღუპა, ასი ათასობით ლტოლვილი როა?.. მერე რა, მათთვის მიშა მაინც მაგარია.

ნუ იტყვი და რუსთაველებს თუ დაუჯერებ, ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთ წინასაარჩევნო დებატებში ერთმანეთს საქართველოს სიყვარულისთვის თავპირს ამტვრევენ.

„გზები გაგვიყვანეს“, „გაზი და შუქი ხომ გვაქვს“ — აი, თურმე რა სიკეთე მოგვიტანა ამ ხელისუფლებამ. არადა, იმ გზებზე, ჯერ რომ უფასოა, წელიწადში ერთხელ თუ გაივლიან, შუქი? დენში რომ ხუთექვსჯერ მეტს იხდიან, ეგ არაფერი! საბაზრო ფასები რომ ყოველდღე მატულობს, პენსია ათი წლის წინანდელის შესაბამისი გახდა (ვითომ მრავალგზის გაზრდილიძ, რომ ისევ არ არის სამუშაო, ქვეყნიდან გარბის, ვისაც შეუძლია (აგერ ახლახან სამი თუ ოთხი ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა ქვეყნის უპატრონობასძ, რომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვდგავართ და ქვეყანას უცხოტომელები ეპატრონებიან, განათლება, მეცნიერება, კულტურა რომ ნადგურდება, ბიბლიოთეკები რომ მოსპეს, ამაზე თუ ეტყვი, ეს თურმე არაფერია, მიშა მაგარიაო, მაშინვე ნიშნს მოგიგებენ.

ამისთანანი არც ისე ბევრია, მაგრამ არც ისე ცოტა, რომ მათზე ხმა არ გაიღო. არადა ამ 10-20 და ზოგჯერ 50-ლარიანმა გამყიდველებმა დიდად შეუწყვეს ხელი წინა ორი არჩევნების გაყალბებას. და იმაში, დღეს რა უბედურებაც დაატყდა ქვეყანას, მათი პასუხისმგებლობაცაა. თუმცა რა პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი, როდესაც ისევ სახედრებივით ჯიუტად იმეორებენ, ყველაფერი კარგადაა, აი ნახავთ, მიშას ავტორიტეტით მსოფლიო მხარში გვიდგას და დაკარგულ ტერიტორიებსაც მალე დავიბრუნებთო.

მე მესმის გიგა ბოკერიასი და მისი თანაგუნდელების, რომლებიც ჯიუტად ამტკიცებენ რომ ამ ომში საქართველო არ დამარცხებულა. თურმე ბატონი გიგა იმ დღეს არ გაქცეულა და წყნეთში, კურორტზე ნებივრობდა, როცა ჩვენი სისხლი იღვრებოდა სამაჩაბლოში. დიახ, მე მესმის დღევანდელი ჩინოვნიკების, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია იმ ჩემი ნაცნობი „მიშისტების“ ასეთი თავგადაკლულობა, რომლებსაც შიმშილისაგან კუჭი უხმებათ, თორემ ბენდუქიძისა რა გამოკვირდება, რომელმაც ქართველ ხალხს გაუყიდა სინდისი, მთელი თავისი სიმდიდრე, ფაბრიკა-ქარხნები, ენერგეტიკა, მიწა-წყალი... მარტო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განადგურება ეყოფა მას ბრალდებად. ჰოდა, ეს ადამიანები რომ ასე არიან ჩაბღაუჭებულნი სავარძლებს, ეს რა გასაკვირია.

ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მოქალაქეთა ტვინის გამოსარეცხად.

„მიშისტებს“ ვერ დაუმტკიცებ, რომ მიუხედავად ქართული ჯარის არნახული გმირობისა, ომში ჩვენ მხედართმთავრების (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ იმ ვაი სარდლებსძ, უთავობით დავმარცხდით ასე სასტიკად.

ასე იყო აფხაზეთშიც.

ჩემდა თავად, ძმაც არ მინდა ისეთი, ამ უაზროდ, ლაჩრულად ან იქნებ გამცემლურად წაგებულ ომს გამარჯვებად რომ მიიჩნევს, და პრეზიდენტს აღტაცებით შეზღავლვა მაგარი ხარო.

ერთი რამ ცხადია, ჩვენს ერს დღეს მკურნალი სჭირდება. ჩვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია და თუ დროზე არ გამოვჯანსაღდებით, ამ ახალ საუკუნეში საქართველო ქართველების გარეშე გადაიგრიალებს.

**გივი ჯახუა**

პოზიცია

# ეთერ თათარაიძე: ერთი გაგანგაშებული ქალი გინახავთ ქართლში? ამიტომ ჩვენ მართლა არასოდეს არ გადავშენდებით

***ეთერ თათარაიძესთან** წინასწარ დაგეგმილი შეკითხვებით არ მივსულვარ, რადგან მინდოდა დღევანდელ ვითარებაზე ბუნებრივად გვესაუბრა, საუბარი ჩოხიდან (გუდამაყრიდან) გამოყოლილი ნოსტალგიით დავიწყეთ, სადაც გოდერძი ჩოხელის ხსოვნის დღეს, მეუღლესთან, ამირან არაბულთან ერთად, ქალბატონი ეთერიც უძღვებოდა.*

*— რაც აღარ არიან გოდერძი, თენგიზ მირზაშვილი, ვახუშტი, კიდევ მრავალი ადამიანი — ჩემები, ანუ მთქმელები, თუნდაც გიგა ჭინჭარაული, რომლებიც უკვე გავიდნენ ამ სოფლიდან და რომელთაც დღე არ იყო, რომ არ დავკავშირებოდი, ჩემი სულის ნაწილი დადუმდა. ეს უცებ მოხდა, ერთმანეთს მიჰყვნენ, გაიკრიფნენ და მივხვდი, რომ სიკვდილი თურმე არაფერი არ არის, რომ არასდროს შემეშინდება.*

*და თითქოს უცებ დავბერდი. შეიძლება იმ ადამიანს, ვინც სულს გივსებს, ყოველდღე არ ხვდებოდე, მაგრამ იმედიანად ხარ, როცა იცი, რომ გეგულება და ამ ქვეყნად ტრიალებს. უმათობას ნელ-ნელა ვეჩვევი, დღე არ გავა, რომ მათ არ ვესაუბრებოდე, რაღაცის ანგარიშს არ ვაბარებდე, არ გამოველაპარაკო ჩემთვის შინაგანად. რაც აღარ არიან ჩემი მეგობრები, არც ერთი დღე უმაგათოდ არ მიცხოვრია. ეგ არის და ეგ ცხოვრება.*

**— ჩოხიდან დაბრუნების მეორე დღეს მითხარით, რომ გამოფიტული, ცარიელი ვარო... რატომ?**

— იქიდან მარტო გოდერძის ხმა მომყვებოდა და გული მწყდებოდა. ჩვენ ერთად იქ ბევრჯერ ვყოფილვართ და მთელი გზა გვიგიჟმაჟია... ახლა კი... მენატრებოდა გოდერძი. რაღაც მინდოდა დამეწერა...

იქ იმდენი ხალხი ამოვიდა! თუ ადამიანს არ ეთაყვანები, არც ამოხვალ. ამოსვლა უკვე ბევრს ნიშნავს. ყველასი — ბალღიდან ღრმა მოხუცამდე — მადლობელი ვარ, ვინც ჩოხში ამოვიდა. იმ დღეს მე და ამირანს სიტყვით გამომსვლელთაგან იმდენი ადამიანი გამოგვრჩა. ყველანაირად შეტრიალდა წინა, დალაგებული პროგრამა, სამჯერ მაინც დაიწერა. არც მიყვარს ეს დაზუთხული პროგრამა, ზოგი გამომსვლელი ეტყობა სიიდან გამორჩათ. იმ ადამიანებს გულწრფელად ვეუბნები, საწყენად არ მიიღონ.

გოდერძიზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება, ის მხოლოდ ახლა დაიწყო. ყველას შეუძლია მასზე აზრი გამოთქვას. რაც ბევრს მოვისმენთ მეგობრებისგან და, ზოგადად, ხალხისგან, ჩვენთვისაც კარგია და მით უფრო — გოდერძისთვის.



**— იმ დღეს ჩოხში გახმიანდა, რომ სოფლის სკოლის შენობაში გოდერძი ჩოხელის მუზეუმი გაიხსნასო...**

— ეს საკითხი წამოვჭერით, თუმცა სკოლა აღარ სკოლობს, კარგი იქნებოდა იმ შენობაში გოდერძის მუზეუმის გახსნა, იქაც კი მივიღებდით ბალღებს, ოღონდაც მოვიდნენ. ახალგაზრდობა ჩოხიდან წამოსულია. ეს შენობა უკვე დანგრევის პირასაა. ეზო, მიდამო კარგია. მუზეუმის კარგად გაკეთება ნამდვილად შეიძლება.

იცი, როგორები ვართ? მივიყურისძირებთ ხოლმე ყველაფერს. საერთოდაც არ გვედარდება, რომ არ გავახსენოთ ბალღებს და მომავალს ის ნამდვილი სახელები, რომლებიც გახსენებას იმსახურებენ. არ უნდა ამას პომპეზურობა, ამ სახელების ზომიერად, ადამიანურად, გონივრულად შეხსენება აუცილებელია.

**— თქვენ სიკვდილის შიში ახსენეთ. აგვისტოს მოვლენებმა რა განცდა დაბადა თქვენში? ვიცი, რომ მაშინ მეუღლესთან ერთად რაჭაში ფოლკლორულ ექსპედიციაში იმყოფებოდით...**

— რა გითხრათ? იცი, როგორ არი? აი, ცუდ სიზმარს რომ ნახავ და არ დასრულდება. ჯერ არ გამოვსულვარ ომის იმ საშინელი განცდიდან. ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი მოხდა და გაგვიმეტეს, რომ შეიძლება, ნებისმიერ წამს გაგვიმეტონ და ერთ წამში ჩვენ არ ვიყოთ. ამას გულწრფელად განვიცდი, ლექსსაც ვერ ვწერ. ანალიზი კი, პოლიტიკოსების საქმეა.

საშინელი, ჯოჯოხეთური ტკივილი მაქვს, რომელიც არ მირჩება. ეს სტრესი, ალბათ, ჯერ არ მომირჩება. ცეცხლში ვარ, ჯანდაბაში ვარ.

რაჭიდან თბილისამდე მე და ამირანმა სრული განგაში გამოვიარეთ. მიმორბოდა მანქანები, ირგვლივ — შეშლილი სახეები, ბალღები ატირებული, ქალები — გარინდებული, კაცები გაუბედურებულები. არ მავიწყდება, ვერ დავივიწყებ იმ რაღაც გაუგებარ დღეებს, რომელმაც ასე დაგვაქცია, დაგვანგრია და ყველაფერი ასე ჩავდეთ მიწაში.

**— დღევანდელი საქართველო ისტორიის რომელიმე პერიოდს გაგონებთ?**

— არა, ასე ვერ ვიტყვი. თუ ისტორიას მივყვებით, საქართველოს ყველა ნაწილში იყო ცეცხლოვანი დღეები. ნაკლები გამოიარა ქართლმა, რომელმაც თავისი მოთმინებით გამაოგნა? ჩვენ დავინახეთ, რა ხალხია ქართლელები! იმათი წუწუნი, იმათი შეშლილი სახე გინახავთ? გაგანგაშებული ქალი ნახეთ? გაიხსენეთ ის გაჭირვებული მოხუცი ქალბატონი, ცეცხლში რომ ზის, ან კაცის ან ქალის გაოგნებული სახე ნახეთ? ვინმე შენიშნეთ თმაგაწეწილი, რომ გამოვარდა და კივილი მორთო? ამის იმედი მაქვს, რომ მართლა არასოდეს არ გადავშენდებით. ვერ გადავშენდებით. ყოველთვის რაღაცა გადაგვარჩენდა ხოლმე... ეს უფალია და კვლავაც უფალი დაგვიფარავს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ მოგვივლინა უფალმა ეს განსაცდელი?**

— არ ვიცი, ამას ვერ განვსჯი, მაგრამ ყველა ასეთი დიდი განსაცდელი რაღაცის მანიშნებელია და უფლისგან გაფრთხილებაა.

**— შეიძლებოდა თუ არა კონფლიქტების მოგვარება სახალხო დიპლომატიით.**

— ხალხური დიპლომატია მართლა არის ის, რითაც მოვდივართ საუკუნეები. სხვა არაფერი გვშველოდა, არც არავის ჩარევა და არც არავის მორევა. ახლანდელი კრიზისიც ამის გამო შეიქმნა. ახალგორში აღარ გვიშვებენ. რატომ? ახალგორი ერთი წლის წინ მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ეკუთვნოდა, მაგრამ წლეულს, კრებულისთვის რაღაც მასალას ვაგროვებდი და აღმოჩნდა, რომ იგი უკვე ცხინვალის ზონაში შედის. ერთი წლის გადატანილ-გადამისამართებულს აღარ გვაძლევენ. უცებ გახდა ასეთი უცხო და მიუწვდომელი ჩვენთვის. ანდა, რატომ ჰქვია ამ მხარეს „სამხრეთ ოსეთი“ და არა სამაჩაბლო, ან შიდა ქართლი, ვერც ამას ვიგებ. ასეთი დათმობები და სულ რაღაცაზე უკან დახევები გვაზიანებდა, გვანადგურებდა და გვანადგურებს. ტოპონიმებს რატომ ცვლი? სამაჩაბლოს როდის მერე დაერქვა სამხრეთ ოსეთი? ოლქი რომ იყო კომუნისტების დროს, მაშინ გაჩნდა ეგ ცნება?.. ისტორიულად ხომ სამაჩაბლოა... დამოუკიდებელი რომ გახდი, მაშინ მაინც აღორძინდი, დაიბრუნე ის, რაც ხარ. მერეც კომუნისტები გვიშლიდნენ? თქვი, რომ ეს სამაჩაბლოა, რომ კი არ იგონებ, აცოცხლებ და ახსენებ შენს ქვეყანას, რომ ეს შენია, სულ შენი იყო, მაგრამ სახლობენ აფსუებიც და ოსებიც და გვიყვარან ისინი. ეგეთი ხალხი ვართ ქართველები.

და განა მარტო ეს ორი ხალხი ცხოვრობს საქართველოში? სხვა ეროვნება არ არსებობს? განა ცოტა აზერბაიჯანელი და სომეხია ჩვენთან დასახლებული, ან სხვა ეროვნების ცოტაა? ვერ დაითვლი, იმდენი არიან. ტოლერანტობაო, სხვა არ ვიცი თუ არის დედამიწაზე ასეთი ქვეყანა.

როდის ვიყავით კაციჭამიები? როდიდან გავხდით მოძულე ქართველები ამ ორი ხალხის, ვინ მოგვაძულა ესენი, ვისთანაც სისხლისმიერი ურთიერთობა გვაკავშირებს? ოჯახებით მისტირიან ახლა ერთმანეთს, გაგლეჯილი, გაყოფილი ოჯახები, ძალით წაყვანილები იქით და აქეთ მხარეს. რა ვუყოთ იმ ჩვენს სისხლს, რომელიც არ ცვდება, არ კვდება, იმ სულს, რომელიც იქითა მხარეს გენეტიკურად გადაჰყვა და აქეთ გადმოგვყვა, გადმოვიდა. ამას რას უპირებს საქართველო?

რა დავუშავეთ რუსეთს საიმისო, რატომ გვაძულებს ერთმანეთს? რატომ გავხდით ამ ორი ეროვნების „მოძულე“ ქვეყანა და სხვები რატომღა გვიყვარს? ეს ხომ მოგონილია, მოგვიგონეს და მეტი არაფერი.

მე და ძალიან ბევრ ადამიანს მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ტრადიციულად ხალხურმა დიპლომატიამ იმუშაოს. ახლა, რაკი მსოფლიო ჩაერია, შეიძლება ეს სასაცილოდაც გამოჩნდეს, მაგრამ ამით უნდა დაიწყოს. სადღაც რომ მწვერვალია, ძირიდან, ფესვის ძირიდან არის ყველაფერი დასაწყები. ზემოდან დაწყებული მოპირკეთებული საქმიდან არასდროს არაფერი არ კეთდება, რაღაც დანგრეულამდე ჩასვლა ძალიან ძნელია, იქიდან უნდა ააშენო, სადაც დაინგრა, იმ ფესვიდან უნდა წამოხვიდე, იმას დაუსხა წყალი, ააღორძინო, გაანოყიერო, დააპურო, დაარწყულო, მერე უნდა ააშენო, ააყვავო და მიწის ზევით ამოხვიდე. ჩვენ რაღაცას სულ უკუღმა ვაკეთებთ, მხოლოდ მდუღარეს ვასხამთ ზედ...

**— ფოლკლორისტი ბრძანდებით და თქვენზე უკეთ ვის ეცოდინება ურთიერთნდობის მაგალითები ჩვენი ისტორიიდან...**

— ფოლკლორისტი ვარ, ეს არის ერთადერთი, რაც მაცოცხლებს და რისი სიყვარულითაც ხშირად ვიკურნები. შემიძლია მომაკვდავი რომელიმე მოხუცს შევხვდე და მასთან უცებ ვჯანმრთელდები, მავიწყდება ამ დედამიწაზე თუ რამე ოდესმე ვინმესგან მტკენია...

შერიგების პროცესი ნელა, მშვიდად, რაღაცა პაწაწით უნდა დაიწყოს, ერთი კარგი საზიარო დღესასწაულით და მაგარი საზიარო ქორწილით... ჩვენი წინაპრები რაღაცით იწყებდნენ. რამდენი დანდობის მაგალითი იყო ხალხებს შორის, როცა არავინ არ აიძულებდათ და გრძნობდნენ, რომ ერთმანეთი უნდა დაენდოთ და ჰყვარებოდათ. მაშინ არც რუსეთი ჰყავდა შუამავალი და მფარველი, არც დაღესტანი, არც სხვა არავინ. მათ იცოდნენ, რომ უნდა მორიგებულიყვნენ, თბილად და ტკბილად ეცხოვრათ და თმობდნენ.

ახლა დასალაპარაკებელი ოსებთან და აფხაზებთან მგონი, არც გვაქვს და ახლოსაც არ გვიკარებენ. აფხაზებმა ისეთი ღობის შემორტყმა დაიწყეს, რომ ჩიტი ვერ შეფრინდება. იმ ღობის იქით როგორღა გავალთ? ამათ, ოსებს კი, ღობეც არ დასჭირდათ, ისე შემოილობეს რუსეთით ყველაფერი. ეს ხალხი როდის შეხვდება ერთმანეთს, თუ არ მიეცი მშვიდად ყოფნის, თავისუფლებისა და ურთიერთობის საშუალება? შენ, რუსეთი — შუამავალი უნდა მელაპარაკო ამაზე და ჩემი ამბავი უთხრა იმას? როდემდე? ეს კავკასიური ტომები, რომლებიც სულ სხვა ხალხია. აქ ჯერ კიდევ ცოცხლობს ტრადიცია, ჯერ ცოცხალია ის თაობა, ვის დაძახილზეც მთელი სოფელი გამოვა.

კავკასიელები რთული ხალხია, რაღაცნაირად მოქცევაა საჭირო, რომ ეს ხალხი ერთმანეთს ხვდებოდეს და კეთილ საწყისს ნერგავდეს, ფიქრობდნენ, რა ვაკეთოთ, რით დავუმტკიცოთ ერთმანეთს, რომ ჩვენ მტრები არ ვართ.

ჩვენს მიწაზე სხვისები როგორ უნდა იყვნენ: ამ საქმეს ღობე არ შველის. შატილს მტრიანობის ჟამს ექვსმეტრიანი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომლითაც იცავდა თავს შემოსეულთაგან. ზოგჯერ ის გალავანიც ვერაფერს შველოდა. ბოლოს, საერთოდაც, აღარ გახდა საჭირო ის გალავანი.

ის აფხაზური ღობე სასაცილოა, ახლა სიმაგრეების დრო აღარ არის, მოკვდა...

**— ვაითუ, ორი დიდი ქვეყნის პოლიგონად ვიქცეთ...**

— უნდა იცოდნენ ჩვენი ტრადიცია: ამოწყდება ეს ხალხი, მაგრამ არაფერს დათმობს... ეგეთი ხალხია. ვერ ხვდებიან თუ მართლა უხალხო ქვეყნები უნდათ? რამდენ ქართველს მოენატრება ოსური ჩაჰარაჯინები და რამდენ ოსს მოენატრება ხაჭაპური და ქართული ღვინო. აქ საჭმელზე კი არ არის საუბარი, სხვა რამ იგულისხმება...

მახსოვს, როცა გახსნილი იყო ორჯონიკიძე (ახლანდელი ვლადიკავკაზი), ჩრდილოეთ ოსეთის ხალხი როგორ მეგობრობდა ქართველებთან. მოხევეების უმრავლესობა თავად ვლადიკავკაზში ცხოვრობდა.

ახლა დარიალში შემოიწიეს, აგერ დარიალის კარებში მოსხდნენ და რუსეთის საზღვარი დასცეს. ახლახან შატილში ვიყავი და უკვე ფიჭვნთან არიან რუსები მოსულები, ჩვენს სასაზღვრო ჯგუფიდან 400 მეტრში სხედან. დურბინდებით გვიყურებენ. შორს ის აღარ წავა. იქ ისევ არიან ყალიონიანი პაპები, რომელთაც ახსოვთ, რომ ფიჭვნი საქონლის საზამთრო სადგომი იყო. ძველი ბილიკი მოსდევს, თუ არ ააფეთქეს, რათა ხევსურების ნავალი ბილიკები და მათი ნაქონი ადგილები მოსპონ... გვზვერავს რუსი იქიდან და აღარ გვატარებს, მოუნდა და ის ადგილი უკვე თავისია. ახალგორში, საკუთარ სახლში რომ შეხვიდე ათას ლარს ითხოვენ, პასპორტებს უცვლიან, ოსად დაიწერეო, ეს უკვე ოსეთიაო.

ამ ყველაფერს ვუყურებ და ვგიჟდები, ჩემი ქვეყანაც მეცოდება და ჩვენი დამცირებული თავიც...

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

# რატომ შევიძინეთ ბენზინი ძვირად?

**ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში ბენზინსა და დიზელზე ფასების არასაკმარის შემცირებას ქვეყანაში არსებულ ნავთობპროდუქტების მარაგებს უკავშირებენ, რომლებიც ძვირად იქნა შეძენილი.**

**კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ იობაშვილი რამდენიმე ექსპერტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმება, თითქოს საქართველოს ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასები არ მცირდება, ბაზარზე არსებული კომპანიების მოგება კი იზრდება.**

**ეს პრობლემა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც არის. საქართველოში, მაგალითად, ომის დღეებში ნავთობპროდუქტების დიდი ოდენობის მარაგი შეიქმნა, — აღნიშნა იობაშვილმა.**

**მისივე თქმით, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა საწვავზე ფასების 25 თეთრით შემცირება..**

ინტერპრესნიუსი



### სამშენებლო ბაზარი

*აგვისტოს ხუთდღიანი ომის შოკიდან ქვეყანა ჯერაც არ გამოსულა და სრულიად ბუნებრივია, რომ სამშენებლო სექტორში ანუ უძრავი ქონების მთავარ ბაზარზე ეკონომიკური აღმავლობა არ შეინიშნება. თუმცაღა, ყველაფერს ომს ნუ გადავაბრალებთ, ეს პროცესი მთელი წლის განმავლობაში „მწიფდებოდა“...*

*ბინებისა და საოფისე ფართობების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესი ყველაზე მტკივნეულად რეაგირებს ქვეყანაში განვითარებულ უსიამოვნო პოლიტიკურ პროცესებზე. დესტაბილიზაცია პირდაპირ ანადგურებს თითოეული მყიდველის, თითოეული მოქალაქის ნება-სურვილს — შეიძინოს ახალი ბინა თუ ოფისი. ვერც გაამტყუნებ — ვინ იცის, ხვალ რა იქნება, ვაითუ უარესი განმეორდეს და ყველაფერი „ჩამოგვაწეროს“!*

*მაგრამ, არა! დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის — ამერიკის და ევროკავშირის ქვეყნების თანადგომით, ქართველი ხალხის უდრეკი სულის წყალობით, ჩვენი დედაეკლესიის და მისი საჭეთმპყრობელის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სამართლიანი და შეუვალი პოზიციით, პატრიარქის ყოველდღიური ლოცვა-კურთხევით საქართველო გადარჩა და მისი აღმშენებლობა უთუოდ გაგრძელდება...*

*რა მდგომარეობაა ცალკეულ დეველოპერულ კომპანიებში, როგორ იმოქმედა რუსეთის აგრესიით გამოწვეულმა დესტაბილიზაციამ მათ ბიზნესზე? — ამ პრობლემებსა და პერსპექტივებზე გვესაუბრება სამშენებლო კომპანია „ლიბო ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი **დავით სანიკიძე**.*

# „კრწანისი პალასი“ — ნეტავი ჩემი იყოს!



**— ბატონო დავით, თანამედროვე ქართული სამშენებლო ბაზრით დაინტერესებულმა თითოეულმა მოქალაქემ იცის, რომ „ლიბო ჯგუფში“ გაერთიანებულ ორგანიზაციებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. როგორ მიაღწიეთ ამას?**

— ჩვენ ხარისხზე ორიენტირებული კომპანია ვართ. არა რაოდენობა და დაუმთავრებელი ობიექტები, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური და მაღალხარისხოვანი პროექტები, — აი, ჩვენი საქმიანობის მთავარი კრედო. სწორი მენეჯმენტისა და შინაგანი პასუხისმგებლობის წყალობით მივაღწიეთ იმას, რომ ერთ-ერთი ყველაზე სანდო სამშენებლო კომპანია ვართ. ვაშენებთ იმდენს, რამდენიც ხელგვეწიფება, რისი დამთავრებაც შეგვიძლია. ასე რომ, მყიდველს არასოდეს ვატყუებთ.

**— როგორ, სამშენელო კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა სამ თვეზე მეტია „დგას“, ბანკები სესხს არ იძლევიანო, თანამშრომელთა ნახევარი ან დაითხოვეს, ან „უხელფასო“ შვებულებებში გაუშვეს... თქვენთან, გაყიდვების რაოდენობა ნუთუ არ შემცირებულა?**

— როგორ არა, შემცირდა, მაგრამ უმნიშვნელოდ. ეს სრულიად მისაღები და გასაგები პროცესია. ომის გამო საზოგადოებაში გარკვეულმა პესიმიზმმა გაიღვიძა და სამშენებლო ბიზნესის ზრდის ტენდენცია შეფერხდა. ახლა, როცა საქართველოს ეკონომიკის აღსადგენად უცხოეთიდან სერიოზული კაპიტალი მოდის, ბანკებსაც ფული გაუჩნდება და თანდათან ყველაფერი მოწესრიგდება.

**— თუმცაღა, სამშენებლო ბუმი არა მგონია გაგრძელდეს...**

— ძნელი სათქმელია. შესაძლოა გაგრძელდეს კიდეც. ისე, თუ სამშენებლო ბაზარზე ზედმეტი ბუმი შენელდება და მთავარი ყურადღება ხარისხს დაეთმობა, უკეთესი იქნება.

**— ამას წინათ კრწანისში „ლიბო ჯგუფის“ საცხოვრებელი კომპლექსი დავათვალიერე. ჩემმა ორმა მეგობარმა იქ ბინები შეიძინეს. ვიზუალურად ყველაფერი მშვენივრად გამოიყურება. მოდით, დაგვიკონკრეტეთ, რით გამოირჩევა „კრწანისი პალასი“?**

— „კრწანისი პალასი“ ჩეხ დეველოპერებთან ერთად განხორციელებული პროექტია. ის რაციონალური არქიტექტურის კლასიკური ნიმუშია: ვრცელი, ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიაზე დგას სამი ცხრასართულიანი კორპუსი, მეოთხე კორპუსი ცალკეა, თუმცაღა, კეთილმოწყობილი ეზო და საერთო ლობე (შემორაგულია საგულდაგულოდ) კომპლექსს ორგანულად აერთიანებს.

**— კრწანისი რომ დედაქალაქის ცენტრთან ახლოს ყველაზე მყუდრო და ეკოლოგიურად სუფთა რაიონია, ყველამ იცის. საინტერესოა, როგორ არის მოწესრიგებული ინსოლაციის, განიავების, მზის აქტივობის საკითხი.**

— კრწანისი შინდისის ჰაერით ნიავდება, კორპუსების და ცალკეული ბინების ინსოლაცია მთლიანად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რაც შეეხება მზის სხივს, ნორმით გათვალისწინებული ორი საათის ნაცვლად, ის ოთხი-ხუთი საათი მაინც იმზირება ყოველ ბინაში.

**— „კრწანისი პალასის“ ოთხივე კორპუსი რამდენ ბინას აერთიანებს?**

— კომპლექსში სულ 68 ბინაა, თითოეულ კორპუსში — 17. მათ შორის 8 ბინა ოროთახიანია, 7 — სამოთახიანი, 2 — დუპლექსის ტიპის ოთხოთახიანი.

**— თქვენ ეგრეთ წოდებული თეთრი კარკასით აბარებთ ბინებს. „ლიბო ჯგუფი“ რას გულისხმობს თეთრ კარკასში?**

— თითქმის ყველაფერს: დათბუნებულ და მოჭიმულ იატაკს, აგურით ან ტიხრის ფილებით აშენებულ ტიხრებს, გაჯით შელესილ კედლებს, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებს (ბინის შესასვლელში რკინის კარსძ, ბინაში მიყვანილ ელექტროობას, ცივი წყლისა და კანალიზაციის დგარებს, სატელევიზიო და სატელეფონო ქსელს, შელესილ და შეღებილ ფასადს, ბაზალტით მოპირკეთებულ სადარბაზოებს და კიბის უჯრედებს...

ერთი მთავარი მომენტიც: იქვე ფუნქციონირებს „ლიბო ჯგუფის“ კომპანია „დიზაინ X“, რომელიც დამკვეთის სურვილით ასრულებს შიდა ინტერიერის და მოპირკეთების სამუშაოებს.

**— ავტოტრანსპორტი სად განთავსდება? დღეს ხომ თბილისის ქუჩები და ახალი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიები, სამწუხაროდ, დღედაღამ სავსეა ტრანსპორტით...**

— კომპლექსს აქვს ორდონიანი (I-II სართულებიძ ავტოსადგომი. თითოეულ მობინადრეს თითო ავტოსადგომი მოემსახურება. თანაც, საწყის სართულზე ჩადის 630 კილოგრამი ტვირთამწეობის ევროპული ლიფტი. ყველა ოჯახს აქვს აგრეთვე სათავსო-სარდაფი ღვინის და სხვა პროდუქტების გრილად შესანახად.

**— მიკროგარესამყაროს კეთილმოწყობაში რას გულისხმობთ?**

— სარეკრიაციო ზონას, სპორტულ მოედანს, განათებას, გარე კომუნიკაციებს, რომელიც „ჩაიკეტება“ მტკიცედ შემორაგულ ეზოში.

**— გამოდის რომ, „კრწანისი პალასი“ თბილისის ყველაზე კოლორიტულ უბანში განთავსებული კერძო ციხე-სიმაგრე იქნება...**

— გმადლობთ ასეთი შეფასებისათვის, მაგრამ... „კრწანისი პალასი“ ჩაკეტილი ციხე-სიმაგრე ვერ იქნება. შარშან, თუ კარგად მახსოვს, თქვენ ესწრებოდით ჩეხეთის არქიტექტორთა მიზნობრივ გამოფენას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჩეხებს ისე მოეწონათ „კრწანისი პალასის“ პროექტი, მისი ჩეხეთის არქიტქეტორთა კავშირის კონკურსზე წარდგენა გადაწყვიტეს, — როგორც ერთ-ერთი საუკეთესო უცხოური პროექტი!..

**— ეს ფაქტი ნამდვილად მახსოვს, მაშინ ვწერდი კიდეც ამის შესახებ, ასე რომ, „კრწანისი პალასი“ და „ლიბო ჯგუფის“ სხვა პროექტები ევროპულ არენაზე შეიძლება ვიხილოთ.**

— საბედნიეროდ, ასეა!

**— რამდენი ბინა დაგრჩათ „კრწანისი პალასში“ გასაყიდი?**

— მხოლოდ ათიოდე...

**— დარწმუნებული ვარ წლის ბოლომდე ეს ბინებიც გაიყიდება და მთელი კომპლექსი ჩაბარდება.**

— ვიმედოვნებთ, რომ ასე იქნება. ახლა გარემოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. სამიოდე თვეში ყველაფერი დამთავრდება.

**— ბატონო დავით, დღეს ამით დავკმაყოფილდეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კი თქვენი სხვა პროექტები გავაცნოთ ჩვენს დაინტერესებულ მკითხველს....**

— სიამოვნებით.

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**

### ინფორმაცია



## სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა იწყება

**სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა იწყება. პროგრამა X, XI და XII კლასის სკოლის მოსწავლეებისათვის სამეცნიერო-პოპულარული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების სახით ხორციელდება. სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს ცნობილი მეცნიერები სკოლებში სამი თვის განმავლობაში წაიკითხავენ.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გია ნოდიამ განაცხადა, ინიციატივა ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამის ფარგლებში პირველად ხორციელდება და საქართველოს რეგიონებსაც მოიცავს.**

**პირველი საჯარო ლექცია გორში გაიმართა.**

**როგორც გია ნოდიამ განაცხადა, პროგრამის მიზანი სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მეცნიერების მიღწევების და სიახლეების გაცნობა, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდება და მეცნიერებით მოსწავლეების დაინტერესებაა.**

**— ლექციების მიზანია, ამაღლდეს ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართ, ვინაიდან, ბოლო დროს, ეს ინტერესი შემცირდა. ეს ტენდენცია საერთოდ, მთელს მსოფლიოში შეინიშნება. იმედი მაქვს, პროექტი წარმატებული იქნება, — განაცხადა გია ნოდიამ.**

**საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის ნათია ჯოხაძის განცხადებით, სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს ქართველი მეცნიერები თბილისში, ქუთაისსა და გორში ჩაატარებენ.**

**ჯოხაძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გაამართლებს, 2009 წლიდან ლექციები საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ჩატარდება.**

ინტერპრესნიუსი

### თანამშრომლობა

# სახალხო დამცველმა ლიტვის ბავშვთა ომბუდსმენთან მემორანდუმი გააფორმა

**ლიტვის რესპუბლიკის ბავშვთა უფლებების დაცვის კონტროლიორმა რიმანტე შალაშევიჩიუტესმა და საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ.**

**მხარეები დარწმუნებული არიან, რომ თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების კონვენციისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას; ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას.**

**შეთანხმება თერთმეტი მუხლისგან შედგება და მასში ზედმიწევნით არის გაწერილი თანამშრომლობის სახეები და ფორმები.**

**ხელმოწერის ცერემონიაზე სახალხო დამცველმა ლიტვის ომბუდსმენის აპარატის დიდ გამოცდილებაზე ისაუბრა. ამასთან აღნიშნა, რომ ლიტვის მთავრობა და ლიტვის ბავშვთა ომბუდსმენი უკვე ერთი წელია ფინანსურად და ინტელექტუალურად ეხმარებიან სახალხო დამცველის აპარატს. ამ დახმარებით აპარატის რეგიონულ სამსახურებსაც მიეცათ საშუალება უფრო ღრმად და საფუძვლიანად ემუშავათ ბავშვის უფლებათა დაცვისთვის.**

**სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ლიტვის ბავშვთა უფლებების დაცვის ომბუდსმენის აპარატს შორის თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა.**

**ლიტვის ომბუდსმენმა, ქალბატონმა რიმანტე შალაშევიჩიუტესმა ბავშვის უფლებათა დაცვის მნიშვნელობაზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის ბავშვის უფლებათა დაცვა პრიორიტეტულია.**

**ლიტვის ბავშვთა უფლებების ომბუდსმენმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ლიტვის მთავრობა კვლავ გააგრძელებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრისათვის დახმარებას.**

ნატა ნიბლაძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო: რა იქნება შემდეგ?



**გავიდა ორ თვეზე მეტი იმ დროიდან, რაც შეწყდა ცეცხლი საქართველოსა და რუსეთს შორის და 11 დღე მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარები გამოიყვანეს ორი გამოყოფილი პროვინციის ტერიტორიიდან, რომლებმაც თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადეს.** მაგრამ ბრძოლა იმისათვის, თუ რით დამთავრდება რუსეთის პრემიერის ვლადიმერ პუტინისა და პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ გაჩაღებული აგრესია – გამარჯვებით თუ დამარცხებით – გრძელდება. დღეს შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ კრემლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი – საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩამოგდება – მიღწეული არ იქნება. ქართულ ეკონომიკას არ განუცდია დაუძლეველი ზარალი, შეიძლება ისიც კი ვამტკიცოთ, რომ ამ თვალსაზრისით რუსეთი უფრო მეტად დაზარალდა – ომით შეშინებული უცხოელი ინვესტორების გაქცევის გამო.

მეორე მხრივ, რუსეთის 7 ათასზე მეტი ჯარისკაცი ამჟამად განთავისუფლებულია საქართველოს პროვინციებში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, მათ შორის რამდენიმე პატარა რაიონშიც, რომლებსაც ომამდე თბილისი აკონტროლებდა. ამრიგად, მოსკოვი ძველებურად არ ასრულებს მედვედევის ვალდებულებას სტატუს კვოს დაბრუნების შესახებ 7 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით, როდესაც დაიწყო საბრძოლო მოქმედებანი. ათასობით ეთნიკურ ქართველს, ვისი სოფლებიც გაჩანაგდა და დაიწვა რუსული ოკუპაციის პერიოდში, არ შეუძლია დაუბრუნდეს საკუთარ სახლებს. ამ კვირაში რუსეთმა მოახდინა პირველი შეხვედრის ტორპედირება, რაზეც იგი ადრე დათანხმდა, კრიზისის ხანგრძლივი მოწესრიგების საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით და მოითხოვს, რომ ორი პროვინციის ხელისუფლებამ, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და ნიკარაგუამ, მიიღოს მოლაპარაკებაზე საქართველოს და შეერთებული შტატების თანაბარი სტატუსი.

ამის მიუხედავად ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ჩქარობს გამოაცხადოს საქართველოს კონფლიქტი დამთავრებულად და დაუბრუნდეს მოსკოვთან ნორმალურ ურთიერთობას. ბუშის ადმინისტრაციამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა ეს არ დაუშვას – თუ პუტინი არ წავა შემდგომ დათმობებზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ ერთობლივი ძალისხმევით უნდა დაარწმუნონ მოსკოვი, დაიცვას საერთაშორისო სამართლის დებულებანი და არ გააგრძელოს მოქმედება იმ სულისკვეთებით, თითქოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სწრაფვა დამოუკიდებლობისკენ მომხდარი ფაქტია. რუსეთის კომპანიების წინააღმდეგ, რომლებმაც დააბანდეს კაპიტალი ორი პროვინციის ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების სანქციის გარეშე, შეიძლება აღძრულიყო სასამართლო ძიებაც, შემოღებულიყო სანქციები, და საბოლოოდ აეკრძალათ მათთვის, აწარმოონ ნებისმიერი საქმიანი ოპერაცია დასავლეთთან. ვიდრე ამ ტერიტორიების ბედი არ გადაწყდება მოლაპარაკების მაგიდაზე, ისინი, სერბეთის ყოფილი პროვინციის კოსოვოს მსგავსად, უნდა მოექცნენ საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსთან ომი მოსკოვს შემოუტრიალდეს, როგორც „წმინდა დამარცხება" – ეს ხომ იქნებოდა ყველაზე ეფექტიანი გარანტია მსგავსი აგრესიისთვის უკრაინისა და სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან. ამავე დროს, ამ მოვლენებმა უნდა განამტკიცონ დემოკრატია თავად საქართველოში, მისმა ხელისუფლებამ ზუსტად უნდა გაიგოს ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა და არა სამხედრო ძალა – ყველაზე საუკეთესო საშუალებაა პატარა ქვეყნის თავდაცვისთვის. სააკაშვილი გვპირდება, რომ მიიღებს გადამჭრელ ზომებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების ხარისხის, სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ქვეყანაში აქტიური პოლიტიკური შეჯიბრებითობის ამაღლებისთვის. ბუშის ადმინისტრაციამ დაჟინებით უნდა მოითხოვოს, რომ სააკაშვილმა ეს სიტყვები საქმით განამტკიცოს.

The Washington Post

# მოსკოვის „ლერძი"

**რა ეშველებოდა რუსეთს დანიელ ორტეგას გარეშე! იგი რომ არა, კრემლი თავისი აგვისტოს ავანტიურის შემდეგ საქართველოში აღმოჩნდებოდა კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში.**

დღეს, როდესაც კავკასიაში ომის შემდეგ გავიდა ორ თვეზე მეტი, ნიკარაგუა ორტეგას მეთაურობით რჩება ერთადერთ ქვეყნად, რომელმაც, მოსკოვის მაგალითისამებრ, აღიარა „დამოუკიდებლობა", მაშასადამე, არსებითად საქართველოს ორი პროვინციის – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსია რუსეთის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი არ ზოგავს სერიოზულ დიპლომატიურ ძალისხმევას ამ მიმართულებით, ასეთი შედეგი არ შეიძლება იწოდებოდეს სხვაგვარად, თუ არა, როგორც კონფუზი ვლადიმერ პუტინისთვის.

თავად განსაჯეთ: ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩავესის ვენესუელა, კასტროს კუბა, ოლივია, ირანი და სირია, უარს ამბობენ ამის გაკეთებაზე. ყოფილი სსრ კავშირის შვიდი ავტორიტეტული სახელმწიფოს „კლუბმაც" კი, რომელსაც კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაცია ეწოდება, არ გამოიჩინა ენთუზიაზმი. მოსკოვის მარიონეტმა ბელარუსმაც კი მოსკოვს თავისი უკბილო პარლამენტის „ძალისხმევით" განუცხადა: მაპატიეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერა. შანხაის თანამშრომლების ორგანიზაციაშიც კი უარი უთხრეს რუსეთს ჩინეთმა და ინდოეთმა.

რასაკვირველია, ბევრი დიქტატორი ჩადგა რიგში, რათა ესიამოვნებინათ კრემლისთვის სამხედრო, ენერგეტიკული ან ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ ნავთობზე ფასებისა და რუსეთის აქციების კოტირების მკვეთრი დაცემის გამო, მას ძალიან გაუძნელდება თავისი მომხრეების შეძენა. იგივე ლუკაშენკოც, მაგალითად, სავსებით შეიძლება მზად იყოს, აღიაროს ეს სახელმწიფოები რუსეთის გაზის ტარიფების შემცირების ხარჯზე. მაგრამ ისიც კი რუსეთის არათანმიმდევრულმა და აგრესიულმა მოქმედებამ კავკასიაში აიძულეს, ჩაფიქრებულიყო: რა მიზნები აქვს მოსკოვს თავად ბელარუსთან დაკავშირებით?

ორტეგას გარდა მოსკოვმა მოახერხა მიელო დაპირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან დაკავშირებით ჰამასის, „ჰესბოლას" და მოლდოვის ორი რეგიონის – გაგაუზიისა და დნესტრისპირეთის მხრიდან. მაგრამ ეს ძნელად რომ გამოდგეს კრემლის დამამშვიდებელ მოვლენად, რომლის შორს მიმავალი მიზანი აგვისტოს ომის დროს ითვალისწინებდა „მონროს დოქტრინის" ერთგვარ გამოცხადებას თავის „ახლო საზღვარგარეთთან" ურთიერთობაში და თავისი ხელმძღვანელობით ანტიამერიკული ახალი ბლოკის შექმნას. ჟურნალ „როსია ვ გლობალნოი პოლიტიკე" რედაქტორმა ფედორ ლუკიანოვმა ეს სტრატეგია ამგვარად შეაჯამა: „ჩვენს მრავალწლიან მცდელობას – გახდეს დასავლეთის ნაწილი, დაესვა წერტილი. ახლა მიზანი ის არის, რომ ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო მრავალპოლარული მსოფლიოს ფარგლებში, სადაც რუსეთი არის ერთ-ერთი დიდი მოთამაშე".

თუმცა ძნელია გახდე დიდი მოთამაშე, თუ შენ ასე ცოტა მეგობრები გეყოლება, ხოლო ვინც გყავს – ბევრს არაფერს წარმოადგენენ.

THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

# რუსეთის თავსატეხი დასავლეთისთვის

**საქართველოში ომის შემდეგ ურთიერთობა დასავლეთსა და რუსეთს შორის შეიცვალა. ადრე, პუტინის დროს, რუსეთი მიაჩნდათ არამარტივ, თუმცა მართულ პარტნიორად.** ხოლო როდესაც კრემლის რიტორიკა ხდებოდა ზოგჯერ ძალიან ხმამაღალი, მაშინ ამას ჩამოწერდნენ ხოლმე უხერხული მცდელობით საერთაშორისო არენაზე პრესტიჟის მოსაპოვებლად. რუსეთის ყველა მცდელობის უკან იდგა ზრუნვა სახელმწიფოს აღდგენისთვის. მაგრამ ამ ზაფხულს გამოჩნდა რუსეთის ახალი სახე, ქვეყნისა, რომელსაც შეუძლია სამხედრო ინტერვენცია, დაამხოს ხელისუფლება მეზობელ სახელმწიფოში, გადასინჯოს თავისი საზღვრები მეზობლების ხარჯზე. ახლა უკვე რუსეთს მიიჩნევენ არა როგორც ჭირვეულ პარტნიორს, არამედ როგორც პრობლემას უშიშროებისთვის. დღეს დასავლეთი ცდილობს ხელახლა ჩამოაყალიბოს თავისი პოლიტიკა. „მაგრამ ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ვერც ევროპამ გადაწყვეტილება ჯერჯერობით ვერ მონახეს", – აღნიშნავს სტივენ სესტანოვიჩი, რომელიც 1990-იან წლებში იყო მრჩეველი ყოფილი საბჭოთა კავშირის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტთან.

8 ოქტომბერს ელისეს სასახლე გამოვიდა ინიციატივით: გამოიჭიროს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სიტყვაში, რომელმაც წამოაყენა წინადადება მთლიანად შეიცვალოს ევროპაში უშიშროების არქიტექტურა და ამავე დროს მიუთითა „ევროპულ ცივილიზაციაზე", სადაც რუსეთი დაიკავებს მისთვის კუთვნილ ადგილს. საკითხი შეეხება იმას, რომ ფსონი ჩავიდნენ 42 წლის ახალგაზრდა ხელმძღვანელზე, რომელიც უფრო ნაკლებად, ვიდრე პუტინი, ტრავმირებულია საბჭოთა იმპერიის დაკარგვის გამო.

სარკოზიმ წამოაყენა წინადადება 2009 წლის ბოლომდე მოეწყოს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტი, რომლის სათავეები მოდის 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებიდან. სარკოზიმ მკაფიოდ აღნიშნა, რომ არაფერი არ გაკეთდება ამერიკელთა მონაწილეობის გარეშე ანდა იმისთვის, რომ მიადგეს რაიმე ზიანი ევროკავშირის, ნატოსა და ეუთოს მისწრაფებებსა და ღირებულებებს.

დასავლეთი დაბნეულია რუსების განზრახვებთან დაკავშირებით. ხუთდღიან ომს რუსეთსა და საქართველოს შორის ჰქონდა ამბიციური მიზნები: უბიძგონ დასავლეთს, დაიწყოს ვაჭრობა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო ფარის, ნატოს, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების გაფართოებასთან დაკავშირებით. ასევე, ირანის ბირთვული დოსიე, უეჭველია, წარმოდგენილი იქნება რუსეთის განტოლებაში.

სარკოზის შეხსენებამ იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხში მნიშვნელოვან როლს, გამოიწვია მისი რუსი ვიზავის უკმაყოფილება, მაგრამ ნაბიჯი, რომელიც გადადგა პარიზმა მოსკოვისკენ, არის შემობრუნების მომენტი, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი გამოვიდა წინადადებით, შეიქმნას ევროკავშირსა და რუსეთს შორის „ერთიანი ეკონომიკური სივრცე". როგორც ჩანს, გერმანელებსაც, რომლებსაც ეფერება მოსკოვი, ეს მოეწონათ, მით უმეტეს, რომ მედვედევმა სწორედ ბერლინში მიმდინარე წლის ივლისში პირველად გამოთქვა თავისი იდეა უშიშროების საყოველთაო ევროპული ხელშეკრულების შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ხელისუფლებას სურს მიიღოს დივიდენდები იმ ხელსაყრელი პერიოდისგან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია შესუსტდა, ხოლო ევროკავშირში თავმჯდომარედ მყოფი საფრანგეთი ცდილობს თავი აარიდოს კონფრონტაციას. საქართველოს კონფლიქტის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ კრემლმა წამოაყენა თავისი მოთხოვნები „გარანტიების შესახებ". „არ უნდა დავუშვათ, რომ სახელმწიფოთა ან „სამხედრო მოკავშირეთა" მოქმედება ან განვითარება ხორციელდებოდეს ევროპის კონტინენტის სხვა სახელმწიფოთა საზიანოდ", – თქვა მედვედევმა 8 ოქტომბერს.

დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპაში, თუკი ისინი, რასაკვირველია, დაიწყება, გვპირდება, რომ იქნება გაცხოველებული. 2009 წლის იანვარში თავმჯდომარეობა ევროკავშირში გადავა ჩეხეთზე, ივლისში – შვედეთზე, ამ ქვეყნებს კი მოსკოვთან ურთიერთობაში უკავიათ უფრო მკაცრი პოზიცია. ევროპის სახელმწიფოები, რომლებმაც გამოიჩინეს ერთსულოვნება საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, კისრულობენ რთულ სტრატეგიას: მეტად აღარ აწარმოონ „ბიზნეს ას უსუალი" (რუსეთთან პარტნიორული ხელშეკრულების მოლაპარაკების გადადება), მაგრამ არც რუსეთის იზოლაცია მოახდინონ. პარალელურად ამოქმედდა პოლიტიკა აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობაში, გამოცხადდა აგრეთვე ენერგოშემცველების მიმწოდებელთა დივერსიფიკაციის ძალისხმევის შესახებაც.

ბუშის მიმავალმა ადმინისტრაციამ, როგორც ჩანს, გაითვითცნობიერა იმის უპირატესობა, რომ ევროპელები გამოვიდნენ დიპლომატიურ „მოწინავეობაზე" საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. „კარგია, რომ ინიციატივა იკისრა ევროკავშირმა, – განაცხადა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენ ფრიდმა. – ეს უჩვენებს, რომ საკითხი ეხება პრობლემას არა რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ რუსეთსა და საერთაშორისო გაერთიანებას შორის". სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" აღიარების შემდეგ მოსკოვი იზოლაციაში აღმოჩნდა, მას მხარი არ დაუჭირეს და მათ შორის ჩინეთმაც. საქართველოში 200 ევროპელი მიმომხილველის ჩამოსვლა, ეჭვგარეშეა, მნიშვნელოვანი სიახლეა. ომამდე კავკასიაში ევროპას თითქმის არაფერი არ აინტერესებდა. მაგრამ თავი არ უნდა მოვიტყუოთ რუსების განზრახვასთან დაკავშირებით. 15 ოქტომბერს ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკების მცდელობის დროს რუსეთის წარმომადგენელმა გრიგორი კარასინმა მეტად მკაფიოდ წარმოაჩინა მოსკოვის პოზიცია: ევროპელი მეთვალყურეების როლი ის არის, რომ თვალყური ადევნონ საქართველოს ჯარების მოქმედებას, რომლის შეიარაღებას მოსკოვი ხელს შეუშლის.

და მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო დარგში რუსების მიღწევა ეჭვს არ იწვევს, დასავლეთის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ფლობენ კოზირს. რუსეთმა გადაჭარბებით შეაფასა თავისი ძალები: საქართველოში მისი შეჭრის მასშტაბმა ხელი შეუწყო ზვავს მოსკოვის ბირჟაზე. სექტემბერში მედვედევს მოუწია დაემშვიდებინა რუსეთის დიდ საწარმოთა ხელმძღვანელები: „მიუხედავად... სამხედრო გადაწყვეტისა, არაფერი პრინციპული ცვლილება ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით არ იქნება, პრიორიტეტების ცვლა არ მოხდება". კრემლმა შეიმუშავა საბანკო სფეროს გადარჩენის გეგმა (დაახლოებით 180 მილიარდი აშშ დოლარი, 134,3 მილიარდი ევრო). პუტინის ყოფილი მრჩეველი და ეკონომისტი ანდრეი ილარიონოვი აღნიშნავს, რომ თუ ამ ციფრებს შევუდარებთ მთლიანი შინაგანი პროდუქციის მოცულობას, აღმოჩნდება, რომ ეს გეგმა სამჯერ სჭარბობს ამერიკისას.

რუსეთის ხელისუფლებაში იწყებს წარმოჩენას აზრთა სხვადასხვაობა. დიპლომატების სიტყვებით, პუტინი, რომელიც გაღიზიანებულია იმით, რომ რუსეთის გაძლიერებული პიარული საქმიანობა საქართველოში შეჭრის გამართლებასთან დაკავშირებით დამარცხდა საერთაშორისო არენაზე, მან ხომ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება „გადაელახა რუბიკონი" და ეღიარებინა ორი „ახალი სახელმწიფოს" – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამან ზიანი მიაყენა ქვეყნის რეპუტაციას. საფინანსო მოუწესრიგებლობამ კი საქმე დაასრულა. მედვედევს უწევს ქვეყნის შელახული იმიჯის აღდგენა.

**ნატალი ნუგაირედი**

Le Monde.fr

◉ პირველი შთაბეჭდილება

# თავისი მიწის გულდამწვარი ჭირისუფალი



ეს ორტომეული, შეიძლება ითქვას, სრულყოფილად წარმოგვიდგენს ვახტანგ ხარჩილავას შემოქმედებას – პოეზიას, ლიტერატურულ წერილებს, პუბლიცისტიკას, სადაც უმალ იკვეთება მისი გამორჩეული ნიჭიერება.

„სევდის და მარტოობის პოეტიზება – ეს არის ვახტანგ ხარჩილავას საazროვნო მოტივი, რომლის ნაირგვარი სახეცვლილებაა თითქმის ყოველი ლექსი, – წერს კრებულის ბოლოსიტყვად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლიტერატურათმცოდნე **სოსო სიგუა** და განაგრძობს: „აქ პირველ რიგში გადმოიცემა საკუთარი ფსიქობიოგრაფია, სულის მიმოქცევა ტრაგიზმიდან სიხარულამდე, გაზაფხულის ლურჯი ყვავილიდან – შემოდგომის ყვითელ ფოთლებამდე“.

ვახტანგ ხარჩილავამ, თავისი თაობის შემოქმედთა დარად, სულში გადახარშა ბედკრული სამშობლოს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ყოველდღიური ქრონიკა, თუმცა იგი – კოლხი კაცი, სევდა-ნაღველით ნამეტნავად გამოირჩა თანამოკალმეთაგან. აი, პარადოქსი:

**„მოვედე მიეთ-მოეთს,**<br>
**დავრჩი კენტად და სახტად,**<br>
**დავსტირი ჩემს ძმას, პოეტს,**<br>
**ჩემს ხარჩილავა ვახტანგს.**<br>
**ვენდე მაცდურს და ორგულს,**<br>
**ზურგი ვაქციე საყდარს,**<br>
**დავსტირი ჩემგან მოკლულს,**<br>
**ჩემს ხარჩილავა ვახტანგს.**<br>
**შავად შესუდრულ შორეთს,**<br>
**მიაქვს ქვითინი ქართა.**<br>
**მე ვგლოვობ ჩემს ძმას, პოეტს,**<br>
**ჩემს ხარჩილავა ვახტანგს“.**

ჩვენ, მისმა მეგობრებმა ვიცით, რომ ვახტანგი მეგრულადაც წერს ლექსებს, უფრო სწორად მეგრულ-ქართულ ლექსებს, რაც ორტომეულის პირველ ტომში შეტანილია კიდეც და, შეიძლება ითქვას, ზეხმოვანებას აძლევს კრებულს:

**„ართი ხატი, ართი ღორონთი,**<br>
**ართი ოდიში, ართი ქართი,**<br>
**გიერთგულე მე ბოლომდე,**<br>
**შენ კი მაინც არ გიყვარდი“.**

ბოლო წლებში მკითხველი (მეტწილად „ლიტერატურულ საქართველოში“) მოწმე გახდა ვახტანგ ხარჩილავას ნიჭიერების ახალ წახნაგთა ელვარებისა – სიღრმისეულ ლიტერატურულ წერილებს ენაცვლება მძაფრი პუბლიცისტიკა, სადაც ძალაუნებურად გამოიკვეთა „მეგრული თემა“. ამ დროს, ავტორს, მართლაც რომ ბეწვის ხიდზე უნდა გაევლო და, თანაც, სათქმელი ნათლად და პირუთვნელად ეთქვა. საბედნიეროდ, მან ეს შეძლო, თავისი, როგორც მამულიშვილის სატკივარი, საერთო სატკივარს შეუერთა, მაგრამ რაღა დროის – ქვეყანა უკვე დაქცეულია, დანაწევრებულია, ისევ და ისევ ჩვენი ბედოვლათობით.




ვახტანგ ხარჩილავას ორტომეული ნაღდი ლიტერატურაა, გულის ქურაში გამოტარებული ნაწერია თავისი მიწის ჭირისუფალი კაცისა. თუ ერთი გამოთქმის პერიფრაზს გავაკეთებთ, დღეს წიგნის ბაზარზე ბევრი წიგნი „ბზუის“, მაგრამ ჩვენი ვახტანგის ნაკალმართან უმეტესობა ტყუის.

წაიკითხეთ და ნახავთ.

◉ ჩემი უნივერსიტეტი

# მარადიული სტუდენტობა,

## ანუ იტალიური „პლაშის“ ამბავი

ნახეთ, ერთი ნახეთ, რა ბიჭი ვარ! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ვდგავარ და ზემოდან ქათქათა შენობა გადმომყურებს. აღარ მახსოვს, ვის ვთხოვე სურათის გადაღება... და, იცით, რატომ? იტალიურ „პლაშში“ ვარ გამოსკვანჩული და სიხარულით გაბრუებული!.. როგორი საქმეა, იმ დილით დედაჩემი ჩამოვიდა სოფლიდან და, რამე-რუმე ხორაგთან ერთად, ქუთაისში, შაუმიანის ქუჩაზე ნაყიდი



იტალიური „პლაშიც“ ჩამომიტანა... გასული საუკუნის 60-იანი წლებია, იტალიური „პლაშის“ ბუმია მთელ საქართველოში. ისმის მისი შარიშური უნივერსიტეტის დერეფნებშიც, აუდიტორიებშიც, ეზოშიც... თავს იწონებენ გოგო-ბიჭები... ისე, სხვათა შორის ვთქვი, ერთხელ, სოფელში ჩასულმა, რა მაგარი რამეა, ეს იტალიური „პლაში“-მეთქი. ვინ იყო მისი მყიდველი, სად ჰქონდათ მისი ფული?!. სხვათა შორის ვთქვი... მაგრამ, დედა რის დედაა?.. ეტყობა, გულდაწყვეტა დაიჭირა ჩემს ნათქვამში დედაჩემმა. ჰოდა, შეუგროვებია ფული, უსესხებია, თავისი დაუმატებია და, აი, ჩამომიტანა, სიხარულით მეცხრე ცაზე ამიყვანა... დავუკოცნე დედას თვალები, ნაშრომი, ნაჯაფი ხელები, ჩავიცვი, მოვირგე „პლაში“ და გავწიე უნივერსიტეტში...

ეს 40 წლის წინათ იყო და მე, როგორც ბევრ სხვა სტუდენტს, ზედმიწევნით შემეფერებოდა მურმან ლებანიძის ადრეული წლების ლექსი, რომელიც, სხვათა შორის, ზეპირად ვიცოდი:

**„სტუდენტობა, სინათლისკენ**<br>
**ბეწვის ხიდი, სტუდენტობა,**<br>
**უფრო ხშირად უმამობა,**<br>
**უფრო ხშირად უდედობა.**<br>
**სათოხრიდან წამოსული**<br>
**გლეხის ბიჭი, გლეხის გულით,**<br>
**და, სამადლოდ, ვინმე კეთილ**<br>
**ნათესავთან შეხიზნული.**

ამ დღეებში, დედაუნივერსიტეტის დაარსების 90 წლისთავზე, შემთხვევით შემხვდა ძველ მასალებში ეს სურათი და მოგონებაც წამოატივტივა.

ნეტა, იმ დროს, ნეტა იმ წლებს!..

ეეეე... რა დრო გასულა... ისევ მურმან ლებანიძეს ვუხმობ:

**...შემობრუნდა ის მთა-ველი,**<br>
**ვარაზის ხევს აღარ ასცდა,**<br>
**მე დღეს ისევ სტუდენტი ვარ**<br>
**და ჭაღარა ახალგაზრდა.**

მარადიულ სტუდენტობას, ანუ მარადიულ ახალგაზრდულ სულს დაგილოცავთ, ჩემო ძვირფასო უნივერსიტეტელებო!

◉ მართალს ვიტყვი...

# „საზოგადო ჭირი“ მოგვძალებია, ჩვენ კი ერთმანეთს ტალახის სროლაში ვეჯიბრებით!

მართლაცდა, „დედა, რა იყო ეს!“ როგორ დაერივნენ ერთმანეთს, ამ ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები, ვითომ, ცნობილი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის შესახებ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ, რას არ მიედ-მოედებოდნენ და, ამასობაში, ერთმანეთს გვარიანად თათხავდნენ. უნებლიედ გამახსენდა, რა სარკასტულად უწოდა ტოლსტოიმ ჟურნალისტიკას „ვტარაია დრევნეიშაია პროფესია“ (პირველი, ვიცით, რაც არის), ანუ ხელობა ხალხისა, რომელიც ყველაფერს კადრულობს, პრინციპები არ გააჩნია, რაზეც გინდა ხელს მოგიწერს... ეტყობა, ტოლსტოის ეპოქაშიც მრავლად იყო სულგაყიდული, ყველაფერზე ხელმომწერი „გაზეტჩიკი“.

– აუუუ... შენ რაღა გალაპარაკებს, „კომუნისტში“ გამოზრდილ ჟურნალისტსო – იუკადრისებს „დემოკრატიულ საქართველოში“ „თავისუფლად“ მოაზროვნე ზოგი ჩემი უმცროსი კოლეგა, მაგრამ მათ საპასუხოდ ვიტყვი: ჩემო ძვირფასებო, იმ ვითომ ავადსახსენებელ ეპოქას ერთი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა – ძალიანაც რომ ნდომოდა ჟურნალისტს, არავინ მისცემდა უფლებას, რომ თავის წერილში პიროვნება უზომოდ ეთათხა, მის სულში უზრდელად ხელის ფათური დაეწყო.

კი ბატონო, არ იყო მაშინ კონკურენცია (სულ რამდენიმე დასახელების გაზეთი გამოდიოდა), მის გავრცელებაზე სახელმწიფო ზრუნავდა, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, დღეს, ოღონდ გაზეთი გაასაღოთ და, ყველაფერზე ხელის მოწერა რა საკადრისია?! თქვენ ხომ „თავისუფალმა ჟურნალისტიკამ“ უზარმაზარი გასაქანი მოგცათ?.. ჰოდა, ნუ გაჰყიდით სულს ვიღაც „ზემდგომის“ კარნახით, ტალახს ნუ ესვრით ადამის ძეს, აქაოდა, ცენზურა აღარ არისო, ათასგვარ სიბინძურეს ნუ დაწერთ ქაღალდზე, რომელიც ყველაფერს იტანს, „ხელის ჭუჭყს“ არ დახარბდეთ! „რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, რწმენას ნუ უღალატებთ“, ვიღაცამ თქვენი ხელით ნარის გლეჯა მოინდომა, ბიძინა ივანიშვილზე კომპრომატების შეგროვება დაიწყო, ივანიშვილზე, რომელიც სიკეთის ქმნისთვის არის დაბადებული. დიახ, დიახ!.. სწორედ დაბადებიდან, ბავშვობიდან უღვივებდნენ ბიძინას სიკეთის ნიჭს ღვთისნიერი მშობლებიო, გამიგონია მისი ჭორვილელი მეზობლების – ძმები ნადირაძეებისგან, თორემ მე, სამწუხაროდ, არასოდეს შევხვედრილვარ და მხოლოდ უანგაროდ აღსრულებული თავისი მამულიშვილური საქმეებით ვიცნობ ამ ღვთისნიერ პიროვნებას.

ჩემს რჩევა-დარიგებას, რა დიდი მიხვედრა უნდა, იქედნურად წაიკითხავთ, მაგრამ, მაინც გეტყვით: ამ გაუბედურებულ, დაქცეულ ქვეყანაში ცოტაა საწერი?! ცენზურა გამადიდებელი შუშით კითხულობდა და მაინც ახერხებდნენ საქვეყნო ჭირ-ვარამზე ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილების ბეჭდვას ჩვენი დაუვიწყარი კიტა ბუაჩიძე, რევაზ ჯაფარიძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვები... თქვენ კი რა მოგდით, როცა ხელს არავინ გიშლით, ტალახის სროლაში ოსტატდებით?!.. არადა, გაზეთში დაბეჭდილს ხომ ნაჯახითაც ვერავინ ამოშლის, თანაც ვისზე?.. წინ არ იხედებით?

„ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“ – მიმართავდა ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ მკითხველებს.

ჰოდა, ვიყოთ დიდი ილიას მემკვიდრენი!

◉ გახსენება

# წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე...

დამეთანხმებით, სრულიად განსაკუთრებული მიკროკლიმატია თბილისში, მეტადრე, შემოდგომაზე – ღუღუნა მზიანი, მშვიდი, ისეთი, გოგლა ლეონიძეს რომ ათქმევინა: **„ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი, ქედები გადიყირმიზა“...**

თუ ქართული პოეზია გიყვართ, ამ დროს, ალბათ, იოსებ ნონეშვილიც გაგახსენდებათ:

**„შემოდგომას სულ პირველად**<br>
**რუსთაველზე გაიგებ,**<br>
**ქარი ფოთლებს,**<br>
**ჭადრის ფოთლებს**<br>
**გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.**<br>
**მოვარდება კახეთიდან,**<br>
**ვით ფეხმარდი მოამბე,**<br>
**ღვინისა და ხილის სურნელს**<br>
**თბილისშიაც მოაფენს“.**

ამ ლექსში მთელი პანორამაა გაშლილი ბარაქიანი ქართული შემოდგომისა, თბილისის ბაზარში რომ აფერადებულა უჩვეულო სიდიადით.



თვალწინ მიდგას ბატონი იოსები რუსთაველზე მიმავალი – იგი სახეგაბადრული ესალმება შემხვედრთ, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს – ახალგაზრდებს, ხანშიშესულებს... ესალმება ნაცნობს, უცნობს, ესალმება ყველას... იგი ხომ, მართლაც სახალხო პოეტია, იმერ-ამერის მგოსანი – უბრალო, ხალასი, კარდენახელი (**კარდენახი** და არა **კარდანახი**, უთქვამს ჩვენთვის რედაქციაში) ობოლი ბიჭი, ასე რომ ახსოვდა თავისი წარსული და სიკეთეს თესდა გარშემო. შემოვიდოდა ჩვენთან – გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, შემოიტანდა ხალისს, სინათლეს, დაგვიტოვებდა ახალ ლექსს, რომელიმე უცხოურ შთაბეჭდილებას..

გვახსოვს სევდიანიც: რუსთაველის პრემია არ მისცეს, გული ატკინეს... შევეხალისეთ, გავამხნევეთ... არა უშავს, ხალხმა ხომ იცის ყველაფერიო, ჩაილაპარაკა...

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მისი ცისფერყდიანი წიგნი გამოვიდა – ახალი ლექსებით სავსე.. გულთბილი წარწერით მისახსოვრა... გარეკანზე ბატონი იოსები შემოგვცქერის – სახეგაბადრული, სიკეთით სავსე თვალებით, ქვემოთ კი წარწერაა, ხელრთვაა პოეტისა ერთსტროფიანი:

**„ეცადნენ და ვერ გამხადეს**<br>
**ბოროტი,**<br>
**ეცადნენ და ვერ გამხადეს**<br>
**ფლიდი,**<br>
**წუთისოფელს კაცად შერჩე**<br>
**ბოლომდე,**<br>
**თურმე ესეც გმირობაა დიდი“.**

ჭეშმარიტად! იგი წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე!..

...ღვინობისთვეში, რუსთაველზე გამახსენდა იოსებ ნონეშვილი.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

კალათბურთი

# პირველად საქართველოში

**კალათბურთელ ვაჟთა XVIII ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე „მაქაბიმ“ აბსოლუტური ანტირეკორდი დაამყარა: პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა ერთ-ერთი პერიოდი უქულოდ (!) დაასრულა. მართალია, ახალი სეზონის წინ აღნიშნული კლუბი მთელმა რიგმა წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს და სარბიელზე ძირითადად ჭაბუკები გამოდიან, მაგრამ ასეთ ფაქტს, დაგვეთანხმებით, გამართლება მაინც ვერ მოეძებნება.**



საპირისპირო სურათია მათ მეტოქეთა ბანაკში: სუპერლიგის დებიუტანტ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის (მწვრთნელი – ზურაბ ტომარაძე) სპორტულ ღირსებას ძველი გვარდიის წარმომადგენლებთან (ცხვედიანი, ბაქრაძე) ერთად საშუალო თაობის, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი წარმომადგენლები იცავენ. სწორედ მათმა ოსტატობამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი წესრიგის დამცველთა სასარგებლოდ – 63:43 (16:12, 8:18, 19:0, 20:13).

**ყველაზე შედეგიანები:** აბულაძე – 15, ნინუა – 12, ფაიქრიძე – 10 ქულა (შსს); იოსელიანი – 10, ანთაძე – 9, ბიბილური, ლონდარიძე – 8-8 ქულა („მაქაბი“).

მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის განმავლობაში ნუგზარ კანდელაკი აზერბაიჯანულ კლუბებს ავარჯიშებდა. სამშობლოში დაბრუნებულმა მწვრთნელმა „ნტდ – თბილისში“ მეზობელი ქვეყნიდან ოთხი შეგირდი მოიწვია და არც შემცდარა – დასახელებულმა კვარტეტმა სოლიდური წვლილი შეიტანა ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენთან“ სენსაციურ გამარჯვებაში – 77:72 (21:23, 24:27, 12:14, 20:8). დავძენთ, რომ პარტნიორთაგან **ყველაზე შედეგიანად** ფაშაევმა – 21, სარიევმა – 20 და ჩიტაშვილმა – 15 ქულა ითამაშეს, ავიატორებს კი ხოშტარია, ნიკოლაძე, მათიაშვილი და მინაშვილი აკლდნენ. დამარცხების მიუხედავად, ლევან მოსეშვილის გუნდის ჩამოწერას, ვფიქრობთ, არავინ იჩქარებს – იგი ხომ ვახტანგ ნაცვლიშვილით, სოსო შერმადინით და ანატოლი ბოისათი გაძლიერდა.

თსუ ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა, ამიტომ სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ საფუძვლიანად გადახალისებულ თბილისის „დინამოსთან“ სტუდენტთა მიერ მოპოვებული იოლი გამარჯვება – 113:72 (36:14, 27:24, 25:18, 25:16).

**ყველაზე შედეგიანები:** მარკოიშვილი – 19 (მათ შორის 14 – პირველ პერიოდში), ხეცურიანი, დათო ბერიშვილი – 17-17, ბარბაქაძე – 15 ქულა (თსუ); კორკოტაძე – 15, ხიზანიშვილი – 14, ბაქრაძე, ლაფანაშვილი – 10-10 ქულა („დინამო“).

რაც შეეხება კიდევ ერთ დებიუტანტ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდს, მიხეილ კობეშავიძემ აქ თავი მოუყარა მიხეილ ბერიშვილს, გვიმრაძეს, გულისაბედაშვილს, მარხვაშვილს, ათანელიშვილს, წივწივაძესა და ჩაჩიბაიას, ასეთი კონტინგენტით კი, ვფიქრობთ, გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან გვაქვს საქმე.

გამოთქმული ვარაუდის საფუძვლიანობა რუსთავში გამართულმა მატჩმა დაადასტურა, სადაც ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ენერჯი ინვესტმა“ დიდი ძალისხმევით გატეხა ამბიციურ სტუმართა შეუპოვარი წინააღმდეგობა – 83:74.

I ტურში ბათუმელები ისვენებდნენ.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XX ეროვნული ჩემპიონატი. VI ტური.** „გაგრა“ – „ცხინვალი“ 0:2 (შალამბერიძე, სირბილაძე), „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 2:1 (მელქაძე, კვალინაძე; გელაშვილი), „ბორჯომი“ – „ლოკომოტივი“ 0:2 (ალექსიძე – 2), „მგლები“ – „ოლიმპი“ 3:1, „მესხეთი“ – „დინამო“ 1:3 (სუდაძე; ოდიკაძე, თომაშვილი, ვაწაძე). ისვენებდა „სიონი“.

„ვიტ ჯორჯია“ – 13, „მგლები“, „ლოკომოტივი“ – 12-12, „დინამო“ – 9, „ზესტაფონი“, „გაგრა“, „ბორჯომი“ – 7-7, „სიონი“ – 6, „მესხეთი“ – 5, „ოლიმპი“, „ცხინვალი“ – 3-3 ქულა.



**ხვალ ითამაშებენ:** „ლოკომოტივი“ – „გაგრა“, „ზესტაფონი“ – „მგლები“, „ოლიმპი“ – „ბორჯომი“, „სპარტაკი“ – „სიონი“, „მესხეთი“ – „ვიტ ჯორჯია“. ისვენებს „დინამო“.

* * *

**იტალია. VII ტური.** „რომა“ – „ინტერი“ 0:4, „ლეჩე“ – „უდინეზე“ 2:2, „კატანია“ – „პალერმო“ 2:0, „ნაპოლი“ – „იუვენტუსი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 16, „უდინეზე“, „კატანია“, „ნაპოლი“ – 14-14 ქულა.

**ბომბარდირები:** იბრაჰიმოვიჩი („ინტერი“), ჯილარდინო („ფიორენტინა“), სარატე („ლაციო“) – 6-6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი“ – „ჯენოა“, „უდინეზე“ – „რომა“, „სიენა“ – „კატანია“, „ლაციო“ – „ნაპოლი“.

**ესპანეთი. VII ტური.** „ვალენსია“ – „ნუმანსია“ 4:0, „ალმერია“ – „სევილია“ 0:1, „ესპანიოლი“ – „ვილიარეალი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვალენსია“ – 19, „სევილია“, „ვილიარეალი“ – 17-17 ქულა.

**ბომბარდირი:** ვილია („ვალენსია“) – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „უელვა“ – „ვალენსია“, „სევილია“ – „მალაგა“, „ვილიარეალი“ – „ატლეტიკო“.

**ინგლისი. VIII ტური.** „მიდლსბრო“ – „ჩელსი“ 0:5, „ლივერპული“ – „უიგანი“ 3:2, „ჰალი“ – „ვესტ ჰემი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული“ – 20-20, „ჰალი“ – 17 ქულა.

**ბომბარდირი:** ზაკი („უიგანი“) – 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩელსი“ – „ლივერპული“, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ჰალი“.

**გერმანია. VIII ტური.** „ჰამბურგი“ – „შალკე“ 1:1, „ჰანოვერი“ – „ჰოფენჰაიმი“ 2:5, „აინტრახტი“ – „ლევერკუზენი“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰამბურგი“ – 17, „ჰოფენჰაიმი“ – 16, „ლევერკუზენი“ – 15 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“) – 9 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჰოფენჰაიმი“ – „ჰამბურგი“, „ლევერკუზენი“ – „კიოლნი“.

**რუსეთი. XXV ტური.** „შინიკი“ – „რუბინი“ 0:2, ცსკა – „ამკარი“ 4:1, „თერგი“ – „დინამო“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რუბინი“ – 54, ცსკა – 47, „დინამო“ – 44 ქულა.

ფრენბურთი

# პირველ წრეს ჯიხაიში უმასპინძლებს



**დიდ ჯიხაიში დღეს სტარტს აიღებს საქართველოს ფრენბურთელ ქალთა მე-18 ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 6 გუნდი იასპარეზებს. ამჯერად მედლებისთვის ვერ იბრძოლებს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „თბილისი“, რომელიც, ფაქტობრივად, დაიშალა. ჩემპიონატში მისი ადგილი სამტრედიამ დაიკავა.**

**აქვე გაუწყებთ პირველი წრის შეხვედრათა კალენდარს:**

**21 ოქტომბერი.** ბათუმი – სამტრედია, დუშეთი – „ჯიკო“, ქუთაისი – ბოლნისი.

**22 ოქტომბერი.** ბოლნისი – ბათუმი, „ჯიკო“ – ქუთაისი, დუშეთი – სამტრედია.

**23 ოქტომბერი.** ბათუმი – დუშეთი, სამტრედია – ქუთაისი, ბოლნისი – „ჯიკო“.

**24 ოქტომბერი.** ბათუმი – „ჯიკო“, ბოლნისი – სამტრედია, დუშეთი – ქუთაისი.

**25 ოქტომბერი**. ბათუმი – ქუთაისი, ბოლნისი – დუშეთი, „ჯიკო“ – სამტრედია.

ძიუდო

# ტატამი მთაში

**მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ძიუდოში ოლიმპიური თამაშების მონაწილე ივერი ჯიქურაული ამჟამად მცხეთა-მთიანეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა და სპორტულ საქმიანობას ხელმძღვანელობს.** გასულ უქმეებზე დუშეთში სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა რეგიონის პირველობა 1992-1994 წლებში დაბადებულთა შორის, რომელსაც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, სახელოვანი ძიუდოისტები – დავით ქევხიშვილი და ნესტორ ხერგიანი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და მისი მოადგილე გია გალდავა ესწრებოდნენ.



ტატამზე საასპარეზოდ მცხეთა-მთიანეთის 4 რაიონის 150 ძიუდოისტი გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ნიკა ლალიაშვილი, ლევან თანიაშვილი, ნიკა შიომღვიმლიშვილი, გურჯი პარკაული, თორნიკე თათარაშვილი, ლომარდ ველთაური, ნოდარ გუჩაშვილი, კობა ქასოევი და პაატა დოლიაშვილი. გამარჯვებულები და პრიზიორები კიმონოებით, ასევე შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით დააჯილდოვეს.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# ჯუს ცბის სატფელოში

**თბილისელებთან ერთად ჟინვალის საჯარო სკოლის, საჩხერის, ჭიათურის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ყაზბეგისა და ბათუმის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მასობრივ სპორტულ ღონისძიებაში, რომელიც „სპორტი ყველასათვის“ ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და სპორტის დეპარტამენტის დარგობრივი პროფკავშირის მხარდაჭერით გაიმართა.**

კუს ტბის მიდამოებში გამართულმა ორთაბრძოლებმა უძლიერესებიც გამოავლინა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის“ პირველკურსელებმა აჯობეს. ბირთვის კვრაში ნიკო ბერაძემ გაიმარჯვა, დარტსში ლაშა აბაშიძე და ლიკა ჭყონია გავიდნენ პირველ ადგილებზე, ხოლო გირების აწევაში გიორგი მარტიაშვილმა იყოჩაღა. შეჯიბრების მონაწილეებს აქტიური ქომაგობა არ მოკლებიათ. ახალგაზრდების მხიარული შეძახილები გვიან საღამომდე არ შეწყვეტილა. ბუნების წიაღში გატარებული ეს დღე მათ არასდროს დაავიწყდებათ.

ინტერნეტიდან

## ნადალმა მსოფლიოში იპირველა



**მადრიდში, მამაკაცთა Masters სერიის საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 2 270 000 ევრო იყო, პლანეტის ორი უძლიერესი ჩოგბურთელის – ესპანელი რაფაელ ნადალისა და შვეიცარიელი როჟე ფედერერის ნახევარფინალებში დამარცხების მიუხედავად, ნადალმა მაინც გაინაღდა პლანეტის პირველი ჩოგბურთელის საპატიო წოდება.**

ეს ნამდვილად კანონზომიერი მოვლენაა – ბოლო 30 წლის მანძილზე პირველად ჩოგბურთელი, რომელმაც ორი უდიდესი ტურნირი – როლან გაროსი და უიმბლდონი – მოიგო, წლის შედეგებით საუკეთესოთა შორის საუკეთესო გახდა.

ნადალს წინ კიდევ ერთი „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა მოელის – დევისის თასის ფინალში ესპანეთ-არგენტინის ნაკრები გუნდების პაექრობა მარ-დელ-პლატაში 21-23 ნოემბერს.



## კენიელებმა და ჩინელებმა იმარჯვეს

**დიახ, პეკინში გამართული საერთაშორისო მარათონის გამარჯვებულთა პოდიუმის სამივე საფეხური მამაკაცთა შორის კენიელმა სტაიერებმა დაიკავეს ასეთი თანამიმდევრობით: კიპტოო – 2.10.13, ჩელიმო – 2.10.30, ვანგაი – 2.10.52.**

ქალთა შორის კი პირველობა არავის დაუთმეს ჩინელმა მორბენლებმა – ბაი სიუემ, ჩენ ჟუნმა და ჩუან ინინმა.

რეიმსში გამართულ საერთაშორისო მარათონში კი გამარჯვებულები მხოლოდ კენიელები იყვნენ. ვაჟთა შორის – კიიენგი, კომენი და კოპრუტო, ქალებში კი კიპროპი, ნგურია – ტუკეი და კურჟი.

## უძვირფასესი ბიუსტჰალტერით

**ეს ლამაზმანი, ფოტოზე რომ ხედავთ, ცნობილი მოდელი და „მინესოტის“ სერბი კალათბურთელის მარკო იარიჩის სატრფო ადრიანა ლიმაა, ახლა მას მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ბიუსტჰალტერი აცვია.** მისი ფასი არც მეტი, არც ნაკლები, 5 მილიონი დოლარია, რაც სულაც არაა გასაკვირი. მისი შეკერვისას ხომ 3575 შავი ალმასი, 117 „ჩვეულებრივი“ ალმასი, 34 ლალი და კიდევ 3900 სხვა ძვირფასი ქვა გამოიყენეს. ლამაზმანი ახლა ქალის ახალ სუნამოს Victoria,s Sacretias რეკლამას აკეთებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს.



ყვლეფა

# „სტანდარტული“ ყაჩაღობა

**მომხმარებლის ხარჯის შესამცირებლად ჩვენში არაფერი რომ არ კეთდება, დიდი ხანია ყველამ კარგად ვიცით. პირიქით, ბანკები, ფირმები, მეწარმეები, იმპორტიორები და ა.შ. მხოლოდ იმას ცდილობენ, მომხმარებელი (მყიდველი) როგორმე მეტად გაატყაონ და საკუთარი ჯიბე მეტად გაისქელონ.**



სწორედ ასეთ სტილში მოიქცა ახლახან „სტანდარტ ბანკი“, რომელიც ოქტომბრიდან მოყოლებული კლიენტებს მომსახურებაში ფულს ახდევინებს. არადა მანამდე იყო და როცა კი „სტანდარტ ბანკს“ მივაკითხე, ჩემთან დიდი ამბით იმ განყოფილების (ალმაშენებლის ქუჩაზე) მენეჯერი მოვიდა, შემომთავაზა, მუდმივი გადამხდელის ბარათი აიღეთო უფასოდ და იმით გადაიხადეთ კომუნალური გადასახადები ბანკის ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე. ეს იმ დროს ხდება, როცა დანარჩენი ბანკები, მაგალითად, „საქართველოს ბანკი“, „სახალხო ბანკი“, კიდევ სხვები, კომუნალური გადასახადების გადახდაში კლიენტებს 50-50 თეთრს ახდევინებდნენ, რაზეც მკითხველებმა არაერთხელ გულისტკივილით მოგვწერეს და გაზეთიც გამოეხმაურა მათ მომართვებს. ამ მლეტელ ბანკთა ფონზე „სტანდარტ ბანკს“ თავი „მწვანე კიტრად“ მოჰქონდა და ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებდა საკუთარი „კაიბიჭობის“ წარმოსაჩენად. მაგრამ, დრო გამოხდა და... „სტანდარტ ბანკმაც“ ნაცადი სტანდარტული ფანდი იხმარა და ახლა თავადაც მიჰყო ხელი მომხმარებელთა ჯიბეში ხელის ფათურს.

თუ რატომ ახდევინებენ ჩვენი კომერციული ბანკები გადასახადების გადამხდელებს მომსახურების თანხას, ამის გარკვევა ადრე „საქართველოს ბანკის“ ვერის ფილიალში ვცადე, მაგრამ ტყუილად გავისარჯე: ოპერატორებმა ჩემთან დალაპარაკებაც ვერ გაბედეს (როგორც ჩანს, სამუშაოს დაკარგვის შიშით), დაცვის უფროსმა კი (თუ ყარაულმა?) მენეჯერამდე არც მიმიშვა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირადი ტელეფონებიც ჩაინიშნა და სარედაქციოც, იქაური მენეჯერის დარეკვას დღესაც ამაოდ ველოდები.

ახლა კიდევ ერთ გარემოებაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო. ის კომპანიები, რომლებიც თავიანთი მომსახურების თუ მოწოდებული პროდუქციისთვის, კერძოდ, დენის, გაზის, წყლისა და დასუფთავების, გადასახადებს კომერციულ ბანკებში გვახდევინებენ, ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულნი არიან იმ მარტივი მიზეზით, რომ, სხვა თუ არაფერი, გადასახადების აკრეფის სამსახური აღარაფერში სჭირდებათ, ყველაფერს ბანკები აკეთებენ. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ახლა აღარც გადასახადების ამკრეფი პერსონალი სჭირდებათ, მეორე მხრივ კი სამუშაო ტერიტორიის ეკონომიის შესაძლებლობას აძლევს, რასაც გარკვეული თანხდევი ხარჯის დაზოგვაც ემატება. აბა, დავაკვირდეთ, თუ რამდენ თანხას ზოგავს „ყაზთბილტრანსგაზი“, „თელასი“, „თბილისის წყალი“ და მერიის დასუფთავების სამსახური, როცა თითოეულ ოჯახს აიძულებს მისი გადასახდელი გადასახადი კომბანკებში გადაიხადონ, ხარკიც იმ ბანკებს გადაუხადონ, თავად კი დანაზოგი თანხები ტკბილად მოიხმარონ.

ყოველივე გასაგები და მისაღები იქნებოდა, ეს უფასოდ რომ კეთდებოდეს, მაგრამ, ბანკირები, მოგეხსენებათ, ისეთი ხალხია, უფულოდ სალამსაც ძვირად იტყვიან. ამიტომაც არის, რომ თითოეული ოჯახი უკვე ვალდებულია დამატებითი ხარჯი გაწიოს.

მავანს, იქნებ, 40-50 თეთრი არ მიაჩნია სერიოზული ლაპარაკის თემად, მაგრამ საქართველოში ოჯახების რიცხვს თუ გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ არც კომერციული ბანკების ყოველწლიური შემოსავალია უმნიშვნელო თანხა. ბანკირების მიერ ხალხის გატყავების ამსტანდარტულ გზას ახლა „სტანდარტ ბანკიც“ შეუერთდა, არადა, სხვა თუ არაფერი, ეს სირცხვილია და თავის მოჭრა!

**ოთარ ტურაბელიძე**

## ხსოვნა

### შუქურა ტაბიძე



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა საცავის და 2000 წლიდან წიგნთსაცავის ხელმძღვანელი, ქალბატონი შუქურა ტაბიძე.

მისი ხელმძღვანელობით 4 ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის მრავალმილიონიანი ფონდების ორგანიზაცია და ფორმირება, სიცოცხლის ბოლომდე ბიბლიოთეკის ფონდების მსახური იყო, საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების დიდი გულშემატკივარი.

ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები

---

მეუღლე ლეო ჩიქავა, შვილები გიორგი, მედეა, ძმა ვილენი, რძლები დალი ბერულავა, ნანა ჩაკაბერია, სიძე ალეკო სიჭინავა, შვილიშვილები თამუნა, დათო, ზაზა, ცოტნე, ლეო, გოგოლა თოფურია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამარ (თალიკო) ივანეს ასული კვეკვესკირი-ჩიქავა
პანაშვიდი 21, 22 X, 16 სთ. ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №7. გამოსვენება 23 X, 14 სთ. ვაკის სამების ტაძრიდან.

---

ავთანდილ, მანანა, ვლადიმერ, პაატა, ლადო, მაია, მირანდა, მარი, ანი სულაბერიძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აშშ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკად. პაატა გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ლეონტის ძე ჩიქავას საყვარელი მეუღლის და ყველასათვის სათნო ქალბატონის
თალიკო ივანეს ასულ კვეკვესკირი-ჩიქავას
გარდაცვალების გამო.

---

პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ ლეო ჩიქავას და მის ოჯახს მეუღლის, ქ-ნ
თამარ (თალიკო) კვეკვესკირის
გარდაცვალების გამო.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს ლეო ჩიქავას მეუღლის
თამარ კვეკვესკირის
გარდაცვალების გამო.

---

სსიპ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ამავე ინსტიტუტის ერთ-ერთ დამფუძნებელს და პირველ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აშშ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკად. პაატა გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ლეონტის ძე ჩიქავას მეუღლის
თალიკო ივანეს ასულ კვეკვესკირი-ჩიქავას
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება იზიარებს აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას ღრმა მწუხარებას მეუღლის
თამარ კვეკვესკირის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს აკადემიის პრეზიდენტს ლეო ჩიქავას მეუღლის
თამარ (თალიკო) კვეკვესკირის
გარდაცვალების გამო.

---

მზია ქაჯაია, ლუარა ჭანტურია, ვოვა იოსელიანი, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ირინა დემეტრაშვილს, ზურაბ, მაკა და ირაკლი ჭანტურიძეებს დედის, დედამთილისა და ბებიის
ეთერ ნიბლაძის
გარდაცვალების გამო.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი თანაუგრძნობს დეკანს, პროფესორ ნანა კირკიტაძეს ბიძის
კუკური კირკიტაძის
გარდაცვალების გამო.

---

აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს განყოფილების გამგის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
ნიკოლოზ ჭინჭარაულის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ყოფილი საქართველოს მთავლიტის თანამშრომლები იუწყებიან
რევაზ ბიძინას ძე გუნცაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: როდის მიიღო საქართველოს პარლამენტმა უკანასკნელად კანონი სახელმწიფო პენსიის დანიშვნის შესახებ და აპირებენ თუ არა ცვლილებების შეტანას მასში, იქნებ გვითხრათ, რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ამ სამარცხვინო 70 ლარის ამარა, როცა ყოველდღიურად ასე ძვირდება ყველაფერი?**

**მაკო ბახტაძე**

**პასუხი:** საქართველოს პარლამენტმა მოქმედი კანონი „სახელმწიფო პენსიების შესახებ“, 2005 წლის 23 დეკემბერს მიიღო. როდის მოხდება კანონში ცვლილება პენსიების გაზრდის თვალსაზრისით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

* * *



**კითხვა: ვარ II ჯგუფის ინვალიდი, სამედიცინო კომისიაზე ჯგუფის გადასამოწმებლად უნდა გამევლო მიმდინარე წლის 1 ივლისს, მაგრამ იმის გამო, რომ ვიმყოფებოდი საავადმყოფოში, შესაბამის დაწესებულებას ჯგუფის დადგენის თაობაზე 1 სექტემბრამდე ვერ მივმართე. მომეცემა მიუღებელი პენსია შეწყვეტის დღიდან?**

**თამილა ლანჩავაშვილი**

**პასუხი:** თუ თქვენ იმყოფებოდით საავადმყოფოში მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა კომისიაზე უნდა გატარებულიყავით, და ავადმყოფობის გამო არ მოგეცათ შესაძლებლობა დაგედგინათ ინვალიდობის ჯგუფი, ხოლო 1 სექტემბრიდან როცა გატარდით, კვლავ გცნეს I ან II ჯგუფის ინვალიდად, სათანადო საბუთის წარდგენის შემთხვევაში აგინაზღაურდებათ ინვალიდობის პენსიის სახით მიუღებელი თანხები.

* * *

**კითხვა: მე და ჩემს თანამშრომლებს, რომლებსაც უახლოეს პერიოდში შეგვისრულდება საპენსიო ასაკი, გვინდა ვიცოდეთ, მოქმედი კანონის შესაბამისად, ვინ ახორციელებს კონტროლს პენსიების დანიშვნა-გაცემაზე?**

**ელდარ ჭანკვეტაძე**

**პასუხი:** პენსიის გაცემა-დანიშვნაზე კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

* * *

**კითხვა: მე და ჩემს მეუღლეს პირადი ურთიერთობა ძალიან დაგვიმძიმდა. გვყავს ორი არასრულწლოვანი შვილი. კანონის თანახმად, რა შეიძლება გახდეს ქორწინების შეწყვეტის საფუძველი და ვინ განგვაქორწინებს, თუ გვაქვს ქონებრივი დავა?**

**კობა გოგიჩაიშვილი**

**პასუხი:** ქორწინების შეწყვეტის საფუძველია: ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად (ან უგზოუკვლოდ დაკარგულად) აღიარება სასამართლოს მიერ და განქორწინება. როდესაც მეუღლეებს აქვთ დავა, განქორწინება ხდება სასამართლო წესით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## განცხადება

2008 წლის 29 ოქტომბერს 15 საათზე განმეორებით გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.

დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია ამხანაგობის გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი).
2. ამხანაგობის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
(ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).
3. ამხანაგობის გამგეობის და ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევნები;
(ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ამხანაგობის გამგეობა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

მუსიკა

# სრულიად ახალი და უჩვეულო პროგრამა შემოგვთავაზეს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმებიანი კვარტეტის პირველი კონცერტი-პრეზენტაცია 2 წლის წინათ 2006 წლის 1 აპრილს შედგა. ამ ხნის მანძილზე ანსამბლმა გიორგი ხაინდრავას, პაატა ჟანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძის და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით ქართულ მუსიკალურ-საშემსრულებლო სამყაროში ღირსეული დამკვიდრებისკენ სერიოზული ნაბიჯებიც გადადგა, საკმაო პოპულარულობაც მოიპოვა და ერთგული აუდიტორიაც შეიძინა.

ოპერის თეატრის სიმებიანი კვარტეტი ყოველ კონცერტზე სრულიად ახალ და უჩვეულო პროგრამებს სთავაზობს მსმენელს. უკვე საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია კვარტეტის რეპერტუარი.

ამჯერად, 19 ოქტომბერს ოპერის თეატრის წითელ დარბაზში გასამართი კონცერტის პროგრამა მხოლოდ ქართულ მუსიკას მოიცავდა – შესრულდა სულხან ცინცაძის მეთორმეტე კვარტეტი (1991წ; ამავე კონცერტზე შედგა ორი ნაწარმოების პრემიერა – პირველად აჟღერდა ჯემალ ოიკაშვილის კვარტეტი „მიძღვნა აფხაზეთს“ (2006წ და ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი (2008წ, რომლის შესრულებაში კვარტეტთან სოლისტის ამპლუაში მსმენელის წინაშე წარსდგა ცნობილი ახალგაზრდა პიანისტი თამარ ლიჩელი.

**საკუთარი ინფორმაცია**

წკეპლიკა

# რამეთუ არა იცოდნენ, რას უბნობდნენ...

**მდგომარეობის მიხედვით ამ კაცს ნაირ-ნაირი მრჩეველი უნდა ჰყავდეს. თუმცა, ხასიათის მიხედვით, დაუჯერებს „ვისმეს რასმეს“, მაშინ როცა მაღალკვალიფიციურ მშობელსაც საქართველოს ისტორიაშიც არცრას ეკითხება?...**

არადა, „მეტყველებითი მრჩეველი“ ნამდვილად არ აწყენდა და ყურს თუ ათხოვებდა, არ შემოიღებდა გეოგრაფიულად უაზრო „ზემო აფხაზეთს“ და არც „დაამკვიდრებდა“; საზოგადოების პატივსაცემ ფენას „ჩასარეცხ-ჩარეცხილს“ არ აკადრებდა; არ წამოისროდა პოლიტიკურად (და სხვაგვარადაც!წ ყოვლად გაუმართლებელ „ლილიპუტინს“ (ვაითუ „ლილიპუტინის“ გამოც იძიეს შური საცოდავ ჩემს ქვეყანაზე!...წ; „ცხვირს არ მოხოცავდა“ არავის...

სულ ახლახან კი „მთავრობა არ ჩამოიშალაო“, წამოგვაყვედრა; ესეც ენობრივი ნოვაციაა... ობობის ქსლის ჩამოშლა მსმენია, სახურავისა, აივნისა, არმატურისა (მტრისა და ავისაც, კლდისა, ზვავისა – აი, მთავრობის ჩამოშლა კი, მოტობურთისა არ იყოს, მე პირველად გავიგე; თუმცა „მე“ აქ ბევრს არაფერს ნიშნავს...

ისე კი, მთავრობა და პრეზიდენტი, რომელთა ხელში ქვეყანასა და ხალხს, მოსახლეობას, ასეთი უბედურება შეემთხვა, „ჩამოიშლებოდა“ კი არა, გადადგებოდა... ელემენტარულად... ოღონდ ეს მოხდებოდა ნორმალურ სახელმწიფოში...

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

## ოსები ერთმანეთს ესვრიან

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში წუხელ სროლის ხმა კვლავ ისმოდა, მაგრამ ამჯერად ცეცხლი ქართული სოფლების მიმართულებით არ გახსნილა.

სროლა გვიან საღამოს ცხინვალის გარე უბნებში დაიწყო. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, შეიარაღებული დაპირისპირება თავად ოსებს შორის მოხდა, თუმცა ამის თაობაზე სეპარატისტები არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.

## გორელებს წყალი გადაუკეტეს

გორის რაიონის 10-მდე სოფელი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. სასმელი წყალი ოსურმა მხარემ გადაკეტა.

წყლის სათავე ნაგებობა პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფელ ვანათში მდებარეობს, რომელიც დროებით ოსურის მხარის კონტროლის ქვეშ იმყოფება.

სასმელი წყლის სისტემა სახელმწიფო საკუთრებაა და მისი მეშვეობით წყალს ოსური სოფელი დმენისიც იღებდა. არაოფიციალური ინფორმაციით, წყლის გაშვებაში ოსური მხარე 50 000 რუსულ რუბლს ითხოვს.

## ჩეჩნეთის მიწისძვრამ ჩვენც „გვიბიძგა“

ჩეჩნეთში 4,5 ბალის სიმძლავრის მიწისძვრის ბიძგები განმეორდა. ამის შესახებ, ინფორმაციას რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც გროზნოდან 50 კილომეტრში მდებარეობდა, ადგილობრივი დროით 01.46 საათზე დაფიქსირდა.

ჩეჩნეთში მომხდარი მიწისძვრის ბიძგები საქართველოშიც იგრძნობოდა. როგორც სეისმოლოგიურ ცენტრში განაცხადეს, საქართველოში 2 ბალამდე ბიძგები დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში 8-ბალიანი მიწისძვრა 11 ოქტომბერს მოხდა, რის შედეგადაც 13 ადამიანი დაიღუპა, 100 კი მძიმედ დაშავდა.

## შევუტიოთ წითელასა და წითურას



საქართველოში წითელა-წითურას საწინააღმდეგო აცრები დაიწყო.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ჯოვანა ბარბერისმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, 2 ნოემბრის ჩათვლით 6-დან 27 წლამდე ასაკის ერთ მილიონზე მეტი ადამიანი აიცრება.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იმუნიზაციის დროს 6-დან 27 წლამდე ასაკის მოსახლეობის 95%-ის იმუნიზაცია მოხერხდება.

ჯანდაცვის მინისტრის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, იმუნიზაცია უფასოა. ვაქცინა კი ინდოეთიდან არის შემოტანილი, რომელიც უკვე აპრობირებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, რუმინეთში, ბრაზილიაში.

წითელა-წითურას საწინააღმდეგო ვაქცინაცია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა და ვიშნევსკაია-როსტროპოვიჩის ფონდების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ანეკდოტები

ამინდის ბიუროში სინოპტიკოსი მდივან ქალს პროგნოზს კარნახობს.

– კვირას მცირე წვიმა, დასავლეთის ძლიერი ქარი, ტემპერატურა 15 გრადუსი.

– რა ცუდია! კვირას მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გასვლას ვაპირებდი.

– ძალიან კარგი! მაშინ წვიმა და ქარი ამოშალე.

* * *

– გუშინ ხომ გთხოვე, მეტი აღარ დალიო-მეთქი!

– მეტი არც დამილევია. ზუსტად იმდენივე დავლიე.

* * *

– ბიჭო, სირცხვილით ვიწვი. ცოლს თვალს ვერ ვუსწორებ!

– კი მაგრამ ასეთი რა ჩაიდინე?

– ექიმებმა დაასკვნეს, რომ შვილი არ მეყოლებოდა.

– მერე?

– ჩემი ცოლი კი ორსულადაა!



* * *

– მოქალაქე ჯორჯაძე, აბა, მითხარი, რას აკეთებდი, სანამ ცოლს მოიყვანდი?

– რაც გამიხარდებოდა, ბატონო გამომძიებელო!

* * *

– როცა წვეულებაში ცოლთან ერთად ვარ, ცოტას ვსვამ.

– რატომ, ცოლი გიშლის?

– არა, მაგრამ ერთხელ მაგრად დავთვერი და ცოლი ორად მომეჩვენა. ასეთი საშინელების გამეორებას, ალბათ, ველარ გავუძლებ!

* * *

მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. მოწმეს ეკითხებიან:

– გვითხარით, მართალია, რომ სამართალში მიცემული ამ ქალთან ცხოვრობს, როგორც ცოლი და ქმარი?

– არა, ბატონო მოსამართლევ, უფრო უკეთესად!

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.